


დავით აღმაშენებლის  
ინსტიტუტის  
ჯგუფი



ტანადონაშენებლის  
პირიკუბუბი — რაფორმირ  
სასაშროლო რეორმირ  
და პეინონს რაფორმირ  
სასაშროლო სინტეშაში

თბილისი 2021

# დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი



<https://www.facebook.com/დამოუკიდებელი-იურისტების-ჯგუფი-Group-of-Independent-Lawyers-648795978915557>

## სასამართლო რეფორმები ბარდამავალი დემოკრატიის პირობებში – ლუსტრაციისა და ვეტინგის ფორმები სასამართლო სისტემაში

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბროშურის შინაარსზე პასუხისმგებელია დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი. ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა  
საქართველოში (PROLoG)

თბილისი 2021

ავტორი: **თამარ ლალიაშვილი**  
გამოცემაზე პასუხისმგებელი: **დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი**  
ტექსტის რედაქტორი: **მარიამ იაშვილი**  
დიზაინი და ტექნიკური რედაქტირება: **ქეთევან გოგავა**

# შინაარსი

შესავალი .....	5
კვლევის მიზანი .....	5
1. სასამართლო რეფორმები გარდამავალი დემოკრატიის პირობებში, სასამართლო სისტემაში ლუსტრაციისა და ვეტინგის ფორმები.....	7
2.1. Vetting-ის განმახორციელებელი ორგანოები .....	9
2.2. Vetting-ის პროცესის სამართლიანობის უზრუნველყოფის საფუძველი .....	9
2. ალბანეთი .....	9
ვეტინგის კომისია.....	10
2.3. vetting-ის პროცესის გაჭიანურება.....	10
2.4. გადასინჯვის პროცესის კომპონენტები.....	11
2.5. კრიტიკა .....	12
2.6. ვენეციის კომისიის დასკვნა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ალბანეთის ვეტინგის პროცესთან და მის მწარმოებელ ორგანოებთან მიმართებაში. ....	12
2.7. შედეგები .....	16
3. რუმინეთი .....	17
3.1. პერსონალური ცვლილებები – ლუსტრაცია .....	17
3.2. შედეგები .....	17
4. კოლონეთი.....	18
4.1. სასამართლო ხელისუფლება საბჭოთა სისტემის რღვევის შემდეგ .....	18
4.2. ლუსტრაცია.....	18
4.3. ლუსტრაციის განმახორციელებელი ორგანოები.....	19
4.4. გასაჩივრება.....	19
4.5. სანქციები.....	19
4.6. შედეგები .....	20
5. ჩეხეთის რესპუბლიკა .....	21
5.1. სასამართლო სისტემის შესახებ 1991 წლის კანონი.....	22
5.2. მოსამართლეთა ლუსტრაცია.....	22
5.3. შედეგები .....	22
ვეტინგი.....	23
6.1. გაერთინების ხელშეკრულება.....	23
6.2. გდრ-იდან გადმოყვანილ მოსამართლეთა სტატუსის ფორმები.....	23
6. ბერმანი .....	23
7. უნგრეთი .....	26
7.1. ლუსტრაციის წინაპირობები.....	27
7.2. ვეტინგის ორგანოები .....	27



7.3. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები .....	27
7.4. მოსამართლეთა ვეტინგი.....	28
7.5. მოსამართლეთა ვეტინგის პროცესი.....	28
7.6. მოსმენა .....	28
8. ბოსნია ჰერცეგოვინა .....	29
8.1. ისტორია .....	29
8.2. ვეტინგის პროცესი.....	29
9. უკრაინა .....	31
9.1. ლუსტრაციის კანონი.....	31
9.2. ლუსტრაციასთან დაკავშირებული გამოწვევები .....	32
10. ვეტინგი და ლუსტრაცია საქართველოში.....	33
დსკპნბ.....	34

## კვლევის მიზანი

ძველი ავტორიტარული რეჟიმის ახალი – დემოკრატიულით შეცვლის შემთხვევებში, საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, არსებობს წინა ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული უმართლობის დაძლევისა და მომავალში მსგავსი უმართლობის პრევენციის სხვადასხვა შესაძლებლობა, მათ შორისაა – ლუსტრაციისა და ვეტინგის შესახებ კანონები.

წარსულის დაძლევა გარდამავალი დემოკრატიის პირობებში ყოველთვის პრევენციულ ფუნქციას იძენს: ძველი რეჟიმის დროს განხორციელებული უმართლობისა და ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევების განმეორების თავიდან აცილება მომავალში, მრავალ ქვეყანაში, წარსულის დაძლევის მამოძრავებელ ღერძად იქცა. სწორედ სინათლეზე გამოტანილი ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები წარმოადგენს მომავალში ავტორიტარული რეჟიმის შექმნის მცდელობის პრევენციას.

საბჭოთა რეჟიმის რღვევის შემდეგ, კვლევის პროექტისთვის შეჩეული ყველა პოსტ-საჭოთა ქვეყანა დადგა სახელისუფლებო სისტემის ცვლილებისა და რეფორმების, მათ შორის, სასამართლო რეფორმების წინაშე. ამ ქვეყნებს აერთიანებთ სასამართლო სისტემის საბჭოთა მოდელი, სადაც მესამე ხელისუფლება ექვემდებარებოდა პარტიას და მის ნება-სურვილებს, დემოკრატიის ცენტრალიზმისა და ხელისუფლების გაერთიანების პრინციპების საფუძველზე. სასამართლო კომპარტიის კონტროლქვეშ იყო მოქცეული. კომუნისტური პარტიაც სასამართლოს სხვადასხვა მექანიზმით აკონტროლებდა, მაგალითად, იძლეოდა სახელმძღვანელო მითითებებს, სადაც განსაზღვრული იყო სასამართლოს პოლიტიკური მიმართულება და მთავარი ამოცანები. გაბატონებული იყო სატელეფონო იუსტიცია. განაჩენის გამოქვეყნებამდე, მოსამართლეს პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან ურეკავდენ და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს განუსაზღვრავდენ. სასამართლო წარმოადგენდა არა დამოუკიდებელ ხელისუფლებას არამედ მხოლოდ სასამართლო აპარატს, რომლის მთავარი მიზანიც, სწორედ ის გხალდათ, რომ მას პარტიის პოლიტიკა განეხორციელებინა. მოსამართლეები თავს განიხილავდენ როგორც სახელმწიფოს მსახურები, რომლებიც მთავრობასა და გაბატონებულ პარტიას ემსახურებოდენ, რასაც ნაწილობრივ დღეს ადგილი აქვს საქართველოში.

წლების განმავლობაში ხელისუფლებისა და სისტემის ცვლილების, ასევე არაერთი რეფორმის მიუხედავად, რომლებიც სასამართლოს დამოუკიდებლობის კუთხით განხორციელდა, აღნიშნულ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, ხელისუფლებაში მოსული მთავრობა, განურჩევლად იმისა, თუ რომელ პოლიტიკურ ძალას მიეკუთვნება, საკუთარი გავლენის ქვეშ აქცევს სასამართლო ხელისუფლებას და ახდენს სასამართლოს პოლიტიზირებას. ბევრმა ყოფილმა პოსტსაბჭოთა ქვეყანამ (მაგ. ჩეხეთი, გერმანია, რუმინეთი,) საკანონმდებლო ცვლილებებით, მათ შორის ვეტინგისა და ლუსტრაციის კანონის გამოყენებით და გატარებული სასამართლო რეფორმებით დაძლია მის წინაშე არსებული პრობლემები. ბევრი მათგანი დღეისათვის ევროკავშირის წევრი ქვეყანაა, ნაწილი კი ასოცირების საფუძველზე კვლავ სასამართლოში არსებულ პრობლემებს ებრძვის.

საქართველოში მოსამართლეთა დომინანტი ჯგუფის ე. წ. კლანის<sup>1</sup> მიერ მართვის სადავეების მონოპოლიზების შედეგად, სასამართლო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა ურთულესი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა.<sup>2</sup> აკონტროლებს რა მოსამართლეთა ქცევას, მათზე არასათანა-

1 Evolution of clan based governance in Georgian judiciary since 2007, Tsikarischvili K., <https://dfwatch.net/evolution-of-clan-based-governance-in-georgian-judiciary-since-2007-53155>

2 კრებული მართლმსაჯულებაზე, 2020, მოსამართლეთა თვითმმართველობა საქართველოში – პრობლემები და პერსპექტივები ნინო წერეთელი და სალომე კვირიკაშვილი, გვ 15 <https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%>

დოდ ზემოქმედებს, მოქმედებს კოორდინირებულად და ახერხებს ძალაუფლების ყველა ბერკეტის მონოპოლიზებას. კლანმა შეძლო ვაკანტურ პოზიციებზე მხოლოდ მასთან დაახლოებული მოსამართლეების დანიშვნა, რითაც მას უკვე გააჩნია მოსამართლეებზე ზემოქმედების ბერკეტები.<sup>3</sup> კლანმა კავშირები დაამყარა ხელისუფლების სხვა შტოებთან და ხელისუფლების პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურება. რეალურად იგი აღმასრულებელი ხელისუფლების დაგრძელებულ ხელს წარმოადგენს.<sup>4</sup> ამ პრობლემის დაძლევის ერთადერთ გზას წარმოადგენს აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნების პრაქტიკის შესწავლა, ანალიზი და გაზიარება, რომლებმაც, ვეტინგისა და ლუსტრაციის კანონებით, ანალოგიური პრობლემის გადაჭრა მოახერხეს სასამართლო ხელისუფლებასთან მიმართებაში..

აღმოსავლეთ ევროპის ბევრმა ქვეყანამ სწორედ ვეტინგისა და ლუსტრაციის კანონების მეშვეობით შეძლო სასამართლოს ხელისუფლების როგორც სისტემური, ასევე პერსონალური ცვლილებების განხორციელება, რაც წარმოადგენდა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ძირითად ბერკეტს. კერძოდ, როგორც ლუსტრაციით, ასევე ვეტინგით, შესაძლებელი გახდა სასამართლო სისტემიდან იმ ოდიოზური მოსამართლეების ჩამოცილება და მოსამართლის თანამდებობაზე ისეთ პირთა გამწესების პრევენცია, რომლებიც სოციალისტური რეჟიმის არსებობისას ასრულებდნენ სოციალისტური პარტიის დავალებებს, მოგვიანებით კი ხელისუფლების სათავეში მოსულ პარტიის მითითებებს, ემორჩილებოდნენ, ემსახურებოდნენ სახელმწიფო უშიშროების სამსახურებს.<sup>5</sup> დღეისთვის საქართველოში მნიშვნელოვანია სასამართლო ხელისუფლებაში პერსონალური ცვლილებების გატარება, კერძოდ, სასამართლო სისტემიდან იმ მოსამართლეებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა, ასევე იმ პირთა მოსამართლედ გამწესების პრევენცია, რომლებიც წლებია არღვევენ ადამიანის უფლებებს, ასრულებენ ხელისუფლების სხვა შტოების მითითებებს, არალეგალურად თანამშრომლობენ უშიშროების სამსახურთან, შედიან კორუფციულ გარიგებებში, არაკეთილსინდისიერები არიან და არ გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია.

კვლევის მიზანია, შეისწავლოს აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებმა როგორ შეძლეს ევროკავშირის სამართლებრივი სახელმწიფოს სტანდარტის იმპლემენტაცია სასამართლო დამოუკიდებლობის კუთხით, რა ცოდნა და გამოცდილება შეიძლება მივიღოთ ჩვენ მათგან საქართველოში სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის დაბალანსებისა და ეფექტიანობის/ეფექტურობის მისაღწევად.

98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1\_%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98\_1588745696.pdf

3 იხ. სქოლიო 2

4 [https://www.transparency.ge/sites/default/files/corruption\\_risks-geo.pdf](https://www.transparency.ge/sites/default/files/corruption_risks-geo.pdf), კორუფციის რისკი სასამართლო სისტემაში გვ 29, საერთაშორისო გამჭვირვალობა, საქართველო

5 The Rule of Law and Transitional Justice in Conflict and Post-conflict Societies: Report of the Secretary-General. UN Security Council S/2004/616, 23 August 2004, p. 2, available at: <http://www.un.org/en/sc/documents/sg-reports/2004.shtml>



# 1. სასამართლო რეფორმები გარდამავალი დემოკრატიის პირობებში, სასამართლო სისტემაში ლუსტრაციისა და ვეტინგის ფორმები

ყოფილი სოციალისტური ქვეყნების დემოკრატიაზე გადასვლის გარდამავალ პერიოდს თან ახლავს და მის მამოძრავებელ გულს წარმოადგენს ე. წ. ვეტინგის (Vetting) პროცესი.

**ვეტინგის პროცესს** ლიტერატურაში განმარტავენ, როგორც უფლებამოსილი ინსტიტუტების მიერ სახელმწიფო თანამდებობაზე კანდიდატების შემოწმების პროცესს, **ლუსტრაციას კი პროცესს**, რომელიც უზრუნველყოფს იმ პირთა სახელების გამოქვეყნებას, რომლებიც განზრახ, საიდუმლოდ თანამშრომლობდნენ უშიშროების სამსახურის ორგანოებთან<sup>6</sup>.

Vetting მართლმსაჯულების კუთხით, არის გარდამავალი დემოკრატიის ეფექტიანი ინსტიტუციონალური მექანიზმი იმის შესაფასებლად, თუ რამდენად შეეფერებიან მოსამართლეები და პროკურორები მათ მიერ დაკავებულ თანამდებობებს.

რეფორმის ამ ღონიძიების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს საჯარო სექტორის სანდოობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერება და ნაციონალური ინსტიტუტებისა და მთავრობის ნდობის აღდგენა.<sup>7</sup> ვეტინგის მთლიანი პროცესი მიმართულია საჯარო სექტორში ასრებულ ისეთ სფეროებზე (მაგ. პოლიცია, სასჯელაღსრულების დაწესებულება, და სასამართლო), სადაც ყველაზე ხშირია ადამინის უფლებების დარღვევის ფაქტები) საშიშროება.<sup>8</sup>

ვეტინგის კანონით (vetting law), ვეტინგი სასამართლო ხელისუფლებაში ხორციელდება სასამართლოს პერსონალის (იუსტიციის სისტემის) კონკრეტული თანამდებობის პირების უნარების, პროფესიონალიზმის, პიროვნების, ქონების და სხვა ასპექტების საფუძლიანი შემოწმებისა და შეფასების გზით.

ვეტინგის პროცესის სამართლებრივი შედეგებია: სანქციები, მათ შორის თანამდებობიდან გათავისუფლება, მსგავსი თანამდებობის დაკავების პრევენცია, წარსულის გასაჯაროების მუქარით ზემოქმედება, ნებაყოფლობით თანამდებობის დატოვება

ვეტინგი (Vetting) ხელს უწყობს პრევენციას, რომ ადამიანებმა, რომლებმაც დაარღვიეს სხვა-თა უფლებები, ხელახლა არ დაიკავონ მსგავსი თანამდებობები.<sup>9</sup>

**ლუსტრაცია** განასხვავებენ ლუსტრაციის ექსკლუზიურ ინკლუზიურ, რეკონსილიატორულ და კომბინირებულ სისტემებს (exclusive, inclusive, reconciliatory, mixed personal System).

**ლუსტრაციის ექსკლუზიური** სისტემა ხელს უშლის იმ პირებს, ვინც წარსულ რეჟიმთან ასოცირდებიან, გარკვეული პოზიციები დაიკავონ საჯარო სამსახურში ახალი რეჟიმის დროს.

**ინკლუზიური** და **რეკონსილიატორული** სისტემები ცდილობენ მოახდინონ, მოახდინოს ასეთ პირთა რეინტეგრირება, აძლევს რა მათ მეორე შანსს. ამ პირებს ეს უფლება იმ პირობით ენი-

6 Czarnota, Adam. – Lustration, Decommunisation and the Rule of Law. | The Hague Journal on the Rule of Law 1 (2009): 307–36. <https://doi.org/10.1017/S1876404509003078>

7 The Rule of Law and Transitional Justice in Conflict and Post-conflict Societies: Report of the Secretary General. UN Security Council S/2004/616, 23 August 2004, p. 2, available at: <http://www.un.org/en/sc/documents/sgreports/2004.shtml>

8 The Rule of Law and Transitional Justice in Conflict and Post-conflict Societies: Report of the Secretary General. UN Security Council S/2004/616, 23 August 2004, p. 2, <http://www.un.org/en/sc/documents/sgreports/2004.shtml>

9 United States Department of State Transitional Justice Initiative: Lustration and Vetting (2016), p. 1, available at: <https://www.state.gov/documents/organization/257775.pdf>



ჭება თუ ისინი სიმართლეს გაამჟღავნებენ, კერძოდ, ამხელენ მათ საქმიანობას ძველ რეჟიმთან (inclusive system), რის შემდეგაც გადამოწმდება სიმართლე (reconsilatory system). Mixed Systems არის ამ ორი სისტემის კომბინაცია.<sup>10</sup>

ლუსტრაციის ექსკლუზიური სისტემა (exclusie system) ეს არის ყველაზე მკაცრი სისტემა და წარსულიდან გამოსვლის ყველაზე რადიკალური გზაა. ეს სისტემა აირჩია ჩეხეთმა. ამ სისტემების შეფასება „დადებითი ან უარყოფითი“ არ გააჩნიათ, ვინაიდან ლუსტრაციის ამ ფორმებს იერარქია არ ახასიათებთა. შერჩევა დამოკიდებულია პოლიტიკურ ტრადიციებსა და იმ გზაზე, რომლითაც ხდება დემოკრატიაზე გადასვლა. იმ ქვეყნებში, სადაც გადასვლა დემოკრატიაზე შეთანხმებით მოხდა (უნგრეთი, პოლონეთი) შერჩეულ იქნა inclusiv or reconciliatory სისტემა. ხოლო ქვეყნებში, სადაც რევოლუცია მოხდა, თვით ხავერდოვანი რევოლუციის შემთხვევაშიც კი, მაგ., ჩეხეთში, – exclusive სისტემას ირჩევენ.

---

10 David, Roman: Lustration and Transitional Justice. Personnel Systems in the Czech Republic, Hungary, and Poland, University of Pennsylvania Press, Philadelphia, 2011, pp. 27-39.

## 2. ალბანეთი

კომუნისტური რეჟიმის მსხვერვის შემდეგ, საწყის ეტაპზე, ალბანეთში არც ლუსტრაციის და არც ვეტინგის კანონი, საბჭოთა რეჟიმის სამსახურში მყოფ მოსასამართლეთა და პროკურორების მიმართ, არ არსებობდა. ყელა მომდევნო მთავრობა მიუხედავად, თუ რომელ პოლიტიკურ ძალას მიეკუთვნებოდა ის, თავისი გავლენის ქვეშ აქცევდა სასამართლო ხელისუფლებას და ახდენდა სასამართლოს პოლიტიზირებას, ამიტომ ევროკავშირი იუსტიციის გადასინჯვას ითხოვდა. ანალოგიური ვითარებაა საქართველოში. ევროკავშირში გასაწევრიანებლად სავალდებულო მოთხოვნა, სხვა საკითხებთან ერთად, იუსტიციის, მათ შორის, სასამართლო რეფორმა იყო, რომლის ფარგლებშიც უნდა შემუშავებულიყო ვეტინგის-ის კანონი.<sup>11</sup>

ვეტინგის კანონის შესაბამისად, ვეტინგის პროცესიგულისხმობს ყველა მოსამართლისა და პროკურორის გადასინჯვას მისი პროფესიული, ქონებრივი მდგომარეობის, ორგანიზებულ დანაშაულთან სავარაუდო კავშირის კუთხით (Asset assessment, (b) Background assessment, and (c) Proficiency assessment).

იუსტიციის რეფორმა შემდეგ მიზნებს ისახავდა:

1. ვეტინგის პროცესით სასამართლოს რეორგანიზაციას;
2. პროკურატურის სისტემაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური განყოფილების შექმნას;
3. სასამართლო ხელისუფლების რეალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას;

### 2.1. Vetting-ის განმახორციელებელი ორგანოები

Vetting-ის პროცესის განსახორციელებლად შეიქმნა ორი ინსტიტუტი :

1. “First Instance Commission” – პირველი ინსტანციის კომისია, იგივე დამოუკიდებელი საკვალიფიკაციო კომისია;
2. “Appeal Chamber” – სააპელაციო პალატა.

ამ ინსტიტუტების მონიტორინგი ხორციელდება International Monitoring Operation – საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის, ევროკავშირის სახელმწიფოს მიერ, რომლის შემადგენლობაშიც არიან ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნიდან შერჩეული მოსამართლეები და პროკურორები.<sup>12</sup>

### 2.2. Vetting-ის პროცესის სამართლიანობის უზრუნველყოფის საფუძველი

#### A. Vetting-ის კომისია და მისი დაკომპლექტება:

ვეტინგის პროცესის სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, კანონი ითვალისწინებს მთელ რიგ წინაპირობებს და მოთხოვნებს იმ პირების შესაფასებლად, ვინც ამ კომისიის წევრი შეიძლება გახდეს. შერჩეული წევრები არ უნდა იყვნენ 1990-იანი წლების სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები და ფავორიტები. თუმცა, vetting-ის კომისიის დაკომპლექტება გა-

11 <https://euralius.eu/index.php/en/library/albanian-legislation/send/98-vetting/1-law-on-transitional-re-evaluation-of-judges-and-prosecutors-en>

12 Romeo Merruko (2017), “Albania: Role of International Actors in the “Vetting” Process”, Mondaq, available at: <http://www.mondaq.com/x/550690/Constitutional+Administrative+Law/Role+Of+International+Actors+In+The+Vetting+Process>

ჭიანურდა პოლიტიკური კრიზისის გამო, რაც ორ პარტიას შორის წარმოიშვა (SP და DP). 2017 წლის დასასრულს, რეფორმების დაწყებიდან ერთი წლის თავზე, ფორმალურად შეიქმნა vetting-ის კომისია, ასევე მოსამართლეთა დამნიშვნელი საბჭო, რომლებსაც პირველ თვეებში მათ საერთოდ არ წარმოუდგენიათ მუშაობის შედეგები.

## ვეტინგის კომისია

შეიქმნა 4 საკვალიფიკაციო (ვეტინგი) კომისია (Qualifikationskommissionen), რომლებიც პირველ ინსტანციად მოიზარებიან. კომისია დაკომპლექტებულია სამი წევრისაგან. ისინი აწარმოებენ მთლიან გადასინჯვას. Vetting-ის კომისიის სწორი გადაწყვეტილებების უზრუნველსაყოფად შეიქმნა სხვადასხვა მაკონტროლებელი ორგანო: საკვალიფიკაციო პალატა, როგორც სააპელაციო ინსტანცია და ორი საჯარო კომისიის თანამდებობა (öffentliche Kommissare). იმავდროულად, თვალყურს და კონტროლს ამ ინსტიტუტებზე ახორციელებს საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია (IMO).<sup>13</sup> სააპელაციო პალატა არის გადამსინჯველი ორგანო. დამატებით შეიქმნა სპეციალიზირებული საკვალიფიკაციო პალატა სააპელაციო ინსტანციაში, რომელიც 7 წევრისაგან შედგება. მოგვიანებით, პროცესში მონაწილეთა ინტერესების დასაცავად გათვალისწინებულ იქნა ორი ე. წ. საჯარო კომისარი. Vetting-ის ამ ორგანოებმა უნდა იმოქმედონ ევროკავშირისა და აშშ-ის მიერ დაფინანსებულ ამ მიზნისთვის შექმნილ – საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიასთან (international monitoring operation.) ერთობლივად. მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო დამკვირვებლებს არ გააჩნიათ გადაწყვეტილების მიღების ფუნქცია და ისინი მხოლოდ დაკვირვებითა და რჩევებით შემოიფარგლებიან.

თავდაპირველად 191 პირმა დააყენა კანდიდატურა ვეტინგის კომისიის წევრობისათვის, აქედან მხოლოდ 68-მა დააკმაყოფილა კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები. მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატების სია კენჭისყრამდე გასაჯაროვდა, მათი ბიოგრაფიები არ იქნა გამოქვეყნებული. მხოლოდ მედიის ძალისხმევით საჯაროდ გახდა ცნობილი, რომ გარკვეულ მათგანს იურიდიული განათლება დაბალი შეფასებით ჰქონდა მიღებული ან ისინი სარგებლობდნენ რომელიმე პოლიტიკური ბანაკის მხარდაჭერით. ამის გამო ეს კომისიები კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. კრიტიკა შეეხებოდა იმას, რომ ეს არ იყო გამჭვირვალე პროცესი, მიუხედავად იმისა, რომ საჯარო ინტერესი ძალიან დიდი იყო.

### 2.3. vetting-ის პროცესის გაჭიანურება

ვეტინგის პროცესის გაჭიანურების საფუძვლები ძალიან ახლოს დგას კითხვასთან – ნამდვილად არსებობს თუ არა სასამართლო სისტემის წმენდის პოლიტიკური ნება?

პროცესის გაჭიანურების ფაქტობრივი საფუძვლები დადგენილ იქნა.

Vetting დაყოვნებებით დაიწყო, მათ შორის vetting ის ორგანოების დაკომპლექტება არ მოხდა პირველად გათვალისწინებულ ვადებში.

კომპეტენციასა და ქვემდებარეობის პრობლემები დღემდე არ არის გადაწყვეტილი. გამოვლინდა იუსტიციის პერსონალის სიმცირე. ამის ერთ-ერთი საფუძველი არის ალბანეთის მაგისტრატურის სკოლა, რომლის დასრულებაც მოსამართლედ გამწესების წინაპირობაა, რომელსაც მაქსიმუმ 25 კურსდამთავრებული ჰყავს წელიწადში. ამჟამად სასამართლო სისტემას ტოვებს ბევრი მოსამართლე, ნაწილი ასკის გამო, ნაწილი vetting ის გამო, რადგან არ სურს გადასინჯვის პროცესში მონაწილეობა, მთავრობამ მისი ნაკისრი ვალდებულებები სრული მოცულობით ვერ შეასრულა ტექნიკურად და ფინანსურად. vetting-ის კომისიის თანამშრომლების პროფესიულ განათლებაც არ იყო დამაკმაყოფილებელი. პარლამენტმა ვერ შეძლო შეესრულებინა თავისი ვალდებულება – პარლამენტში შეიქმნა სპეციალური კომისია ექსპერტებისა და საზოგადოების

13 Justizreform unter Beschuss, 28. Juli 2020, von Anja Troelenberg, <https://ba.boell.org/de/2020/07/28/justizreform-unter-beschuss>

წარმოადგენლების მონაწილეობით რეფორმის ცალკეული მიზნების იმპლემენტაციის განხორციელებაზე კორდინაციის, მონიტორინგისა და კონტროლისათვის. სადავოა vetting-ის კომისიის წევრების პერსონალის საკითხიც. 2018 წელს vetting-ის პროცესის ორივე საჯარო კომისარი გათავისუფლდა თანამდებობიდან, საერთაშორისო დამკვირვებლების შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე. გათავისუფლების ერთ-ერთი საფუძველი, სხვა გარემოებებთან ერთად იყო, ის რომ ამ კომისარმა თანამშრომლები მიიღო პროცესის წესების დარღვევით და ინსტიტუციის საქმიანობას ხელი შეუშალა. ზოგადად, საერთაშორისო დამკვირვებლების რჩევები პარლამენტში საერთოდ არ განიხილეს, რაც აიხსნება ცალკეულ დეპუტატთა პირადი ინტერესით. გარდა იმისა, რომ არ არსებობდა იუსტიციის რეფორმების გატარების მიმართ მთავრობის ნება, ასევე არ არსებობს გამჭვირვალობა საზოგადოებისათვის, რომელსაც იუსტიციის რეფორმების მაღალი მოლოდინი აქვს.

## 2.4. გადასინჯვის პროცესის კომპონენტები

Vetting კანონის შესაბამისად, გადასინჯვის პროცესი ეფუძნება სამ ელემენტს:

1. asset assessment – ქონების შეფასება;
2. (b) background assessment – განვლილი ცხოვრების შეფასება;
3. (c) proficiency assessment – პროფესიონალიზმის შეფასება.

### **asset assessment, ქონების შეფასება**

vetting-ის კანონის პირველი ელემენტია ქონების შეფასება, რამაც მოსამართლეთა და პროკურორთა დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია, რომლის სწრაფი შედეგიც იყო მოსამართლეთა მიერ თანამდებობიდან გათავისუფლების განცხადებებით მიმართვა, რათა vetting-ის პროცესისათვის თავი აერიდებინათ. ქონების შეფასების მთავარი ღერძია მთლიანი ქონების ღირებულების აუდიტი, დეკლარაცია, ქონების წარმომავლობის ლეგიტიმაციის შეფასება, კერძოდ ყველა ქონებრივი ვალდებულებების, რაც ქონებრივი ღირებულებების, მათ შორის სავარაუდოდ, შესაფასებელის და მასთან დაკავშირებული პირის პირადი ინტერესების<sup>14</sup> უკან დგას. ყველა მოსამართლე და პროკურორი ვალდებულია გააკეთონ დეკლარირება თავიანთი ქონების. ნებისმიერი პირს, რომლის ქონებაც გამოკვლევას ექვემდებარება, უნდა მიეცეს შესაძლებლობა გაამართლოს მისი ქონების წარმომავლობა, ასაბუთოს მისი ლეგიტიმური საფუძვლები (შემოსავალი, საგადასახადო დეკლარაცია). ქონების მფლობელმა, ქონების დეკლარაციასთან ერთად, უნდა წარმოადგინოს ყველა საჭირო დოკუმენტი იმისათვის, რომ დაადასტუროს მისი ინფორმაციის სიმართლე და კანონიერება. თუკი დეკლარირებული ქონება ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე მისი კანონიერი შემოსავალი, შესაფასებელი პირი ითვლება ბრალეულად და გათავისუფლდება თანამდებობიდან თუ კი საპირისპიროს არ დაასაბუთებს.

### **Background Assessment**

აღნიშნული მოიცავს შესაფასებელი პირის დეკლარაციის და სხვა მონაცემთა გადასინჯვას, რისი მიზანიცაა დადგინდეს ინდივიდის კავშირი ორგანიზებულ დანაშაულთან. თუ კი ასეთი გადასინჯვით დადგინდება შესაფასებელი პირის ბრალეული კავშირი ორგანიზებულ დანაშაულში მონაწილე ინდივიდებთან, იგი გათავისუფლდება თანამდებობიდან თუ საპირისპიროს არ დაამტკიცებს.

14 Council of Europe (2016), “Albania Amicus Curiae Brief For The Constitutional Court On The Law On The Transitional Re-Evaluation Of Judges And Prosecutors (THE VETTING LAW)”, Adopted by the Venice Commission, available at: [http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2016\)036-e](http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2016)036-e)

## Proficiency Assessment

პროფესიონალიზმის შეფასება უზრუნველყოფს ყოველი სუბიექტის უნარების გადამოწმებას. მოსამართლეები ფასდებიან მოსამართლის უნარების შესაბამისად, მაშინ, როცა პროკურორები შემოწმდებიან მათ მიერ გამოძიების წარმოების უნარით. პროფესიონალიზმის შეფასება, ასევე უზრუნველყოფს შესამოწმებელი პირის ორგანიზაციული უნარების შემოწმებას, ეთიკის და პირადი კვალიფიკაციის შეფასებას, რაც ეფუძნება კანონით დადგენილ სტანდარტებს.

ინდივიდებს, რომლებიც არასაკმარისად შეფასდებიან, მიეცემათ რეკომენდაცია – გაიარონ ტრენინგი მაგისტრების სკოლაში, ხოლო ის პირები, რომლებსაც არაადეკვატური შეფასება ექნებათ პროფესიულ უნარებში – გათავისუფლდებიან დაკავებული თანამდებობიდან

## 2.5. კრიტიკა

vetting-ის კანონის მიღების შემდეგ, კანონი გაასაჩივრდა საკონსტიტუციო სასამართლოში.

2016 წლის 30 აგვისტოს საკონსტიტუციო სასამართლომ შეაჩერა კანონის მოქმედება და მოითხოვა amicus curiae ვენეციის კომისიისაგან – ამ კანონის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობის საკითხზე. ვენეციის კომისიის საქმიანობის შედეგები, კერძოდ, მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება გასაჩივრებულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2021 წლის 31 მაისს Xhoxhonaj v. Albaneti (Application no. 15227/19) საქმეში, იმსჯელა კონკრეტულ საქმეზე ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით, ვენეციის პროცესის მიმდინარეობისას მოსამართლე Xhoxhonaj მიმართ, რომელიც თანამდებობიდან გათავისუფლებულ იქნა ვენეციის კომისიისა და სააპელაციო პალატის საბოლოო გადაწყვეტილებით, ხომ არ მოხდა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევა. ამ გადაწყვეტილების შესახებ იხ. ქვემოთ.

## 2.6. ვენეციის კომისიის დასკვნა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ალბანეთის ვენეციის პროცესთან და მის მწარმოებელ ორგანოებთან მიმართებაში.

**ალბანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ ოთხი კითხვით მიმართა ვენეციის კომისიას**

**პირველი კითხვა**, რაც დაისვა ვენეციის კომისიის წინაშე, იყო შემდეგი: წარმოადგენს თუ არა ინტერესთა კონფლიქტს მოსამართლეთა მონაწილეობა vetting-ის პროცესში, იქიდან გამომდინარე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები, ამ კანონის სუბიექტებს წარმოადგენენ. ვენეციის კომისიის დასკვნით, სასამართლო სავარაუდოდ ინტერესის არსებობის გამო, ვერ გათავისუფლდება დასმული საკითხის გადაწყვეტის მოვალეობისაგან. ვენეციის კომისია ხაზს უსვამს მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებს, რომელიც ითვალისწინებს და სთავაზობს მოსამართლეებს ასეთ ვითარების მოწესრიგების გზებს, კერძოდ, იმისათვის, რომ მოსამართლე არ იყოს მიკერძოებული, ასეთი საქმის განხილვაში, როგორც წესი, მან არ უნდა მიიღოს მონაწილეობა, თუმცა მოსამართლის დისკვალიფიკაცია არ არის სავალდებულოდ საჭირო, თუ ამ საქმის განსახილველად შეუძლებელია სხვა ტრიბუნალის შექმნა. ეს ყოველთვის ის შემთხვევებია, სადაც მოსამართლის დისკვალიფიკაცია იწვევს მართლმსაჯულებაზე უარს.<sup>15</sup> თუ მოსამართლე ვერ აკმაყოფილებს vetting-ის კანონის მოთხოვნებს, მას არა მხოლოდ თვითონ, საკუთარი ნებით შეუძლია გადადგეს არამედ, მოსამართლე შესაძლებელია სხვადასხვა ინსტანციაში აიძულონ დატოვოს თანამდებობა. მაგრამ, ვიდრე დასაწყისში ითვლება, რომ ყველა მოსამართლე კეთილსინდისი-

15 <http://www.legalpoliticalstudies.org/wp-content/uploads/2017/06/Policy-Analysis-An-Analysis-of-the-Vetting-Process-in-Albania.pdf>



ერად მოქმედებს, მოქმედ მოსამართლეებს უფლება აქვთ იმსჯელონ vetting-ის კანონზე. ვენეციის კომისიის აზრით, საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა მოსამართლე წარმოადგენს vetting-ის კანონის სუბიექტს.

**მეორე კითხვა** – ხომ არ ირღვევა ხელისუფლების დანაწილებისა და ბალანსის პრინციპი, იმ საფუძვლით, რომ vetting-ის კანონით დაშვებულ პროცედურებს ახორციელებს ინსტიტუტები, რომლებიც ეკუთვნის აღმასრულებელ ხელისუფლებას, როგორცაა – High Inspectorate of Declaration და აუდიტი Audit of Assets and Conflict of Interest (“HIDAACI”) and Classified Information Security Directory (“CISD”). ვენეციის კომისიამ ხაზი გაუსვა, რომ ამ ინსტიტუტების ჩართვა და გამოყენება გამოძიებისა და მტკიცებულების გამოკვლევის პროცესში არ აფუძნებს კონტროლისა და ბალანსის რაიმე დარღვევას, ვიდრე აღმასრულებელი ორგანოს მიერ მოპოვებული ინფორმაცია და მტკიცებულებების შეფასება დამოუკიდებელი კომისიისა და სააპელაციო პალატის ხელთაა თავმოყრილი. კანონის შესაბამისად, აღმასრულებელი ორგანო პასუხისმგებელია report-ის მოსამზადებლად, საბოლოო გადაწყვეტილება დამოუკიდებელი კომისიისა და სააპელაციო პალატის ხელთაა.<sup>16</sup> CSID or HIDAACI მიერ შეგროვილი ყველა ინფორმაცია არ წარმოადგენს საბოლოო გადაწყვეტილებას. ამ ინფორმაციის საბოლოო შეფასება ხდება ასამბლეას მიერ დაფუძნებული დამოუკიდებელი კომისიისა და სააპელაციო პალატის მიერ.<sup>17</sup>

**მესამე კითხვა**, რომელიც ვენეციის კომისიის მისამართით დაისვა, მდგომარეობდა შემდეგში: ხომ არ არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნას სამართლიან სასამართლოზე მოსამართლეების და პროკურორებისათვის შესაძლებლობის არქონა – გაასაჩივრონ გადასინჯვის ინსტიტუტების გადაწყვეტილება შიდანაციონალურ სასამართლოში. ვენეციის კომისიამ ხაზი გაუსვა, რომ სააპელაციო პალატა შეიძლება მოვიაზროთ, როგორც სპეციალიზებული იურისდიქცია (დასკვნის 63 პუნქტი), რომელიც, იმ პირობებში, ვფასების სუბიექტები ხდებიან, ფართო უფლებებსა და გარანტიებს ანიჭებს, დანართის მუხლი C სააპელაციო პალატას და დამოუკიდებელ კომისიას სამართლიანი სასამართლო პროცესის გარანტიის დაცვას ავალდებულებს.

**მეოთხე კითხვა:** ეწინააღმდეგება თუ არა კანონის ნორმები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნებს, მოსამართლეთა და პროკურორთა პირად და ოჯახურ ცხოვრების დასაცავად. ვენეციის კომისიის დასკვნით, background assesment, არ შეიძლება შეფასდეს როგორც გაუმართლებელ ჩარევად პირად და ოჯახურ ცხოვრებაში და სრულ შესაბამისობაშია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლთან. ამ შემთხვევაში მოსამართლეებისა და პროკურორების შეუსაბამო ურთიერთობა ორგანიზებულ დანაშაულთან კავშირში მყოფ პირებთან საფრთხეს უქმნის ეროვნულ უშიშროებასა და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. vetting- ის კანონის მიზანი, რომ მოხდეს ასეთი კონტაქტების გამოძიება – გამართლებულია. ამასთან, შეფასებას მთლიანად სააპელაციო პალატა აკონტროლებს<sup>18</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში Xhoxhonaj v. Albania იმსჯელა ვეტინგის კომისიის და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, მოსამართლისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე, კერძოდ მომჩივნის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე დაყენებულ მნიშვნელოვან კონკრეტულ საკითხებზე, რომელიც ვეტინგის

16 [https://www.kas.de/c/document\\_library/get\\_file?uuid=716633b5-d14e-1267-26f8-f7584363968d&groupId=252038google.com/search?q=Vetting+law&rlz=1C5CHFA\\_enGE833GE833&oq=Vetting+law++&aqs=chrome..69i57j35i39j0i19j0i19i395j0i19i22i30i395l6.16584j1j7&sourceid=chrome&ie=UTF-8](https://www.kas.de/c/document_library/get_file?uuid=716633b5-d14e-1267-26f8-f7584363968d&groupId=252038google.com/search?q=Vetting+law&rlz=1C5CHFA_enGE833GE833&oq=Vetting+law++&aqs=chrome..69i57j35i39j0i19j0i19i395j0i19i22i30i395l6.16584j1j7&sourceid=chrome&ie=UTF-8)

17 4 Council of Europe (2016), “Albania Amicus Curiae Brief For The Constitutional Court On The Law On The Transitional Re-Evaluation Of Judges And Prosecutors (THE VETTING LAW)”, Adopted by the Venice Commission, available at: [http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2016\)036-e](http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2016)036-e)

18 <http://www.legalpoliticalstudies.org/wp-content/uploads/2017/06/Policy-Analysis-An-Analysis-of-the-Vetting-Process-in-Albania.pdf>  
[https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2016\)009-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2016)009-e)

კომისიის მიერ მისი თანმდებობიდან გათავისუფლებისას წამოიჭრა და რაც მომჩინებმა მისი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლების დარღვევად მიიჩნია, და მივიდა დასკვნამდე, რომ ვეტინგის პროცედურით მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილების მიღებისას არ დარღვეულა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებები.

საჩივრის განხილვით სასამართლო დადგენილად მიიჩნია, რომ

- ვეტინგის კომისია ალბანეთში არის **კანონის მიერ შექმნილი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი**. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ვეტინგის, კომისია, რომლის არალეგიტიმურობასაც ასაჩივრებდა მომჩივანი, წარმოადგენდა ევროპული კონვენციით აღიარებულ, კანონიერ ტრიბუნალს, რომელიც შექმნილი იქნა ალბანეთის კონსტიტუციისა და პარლამენტის მიერ მიღებული ვეტინგის კანონის საფუძველზე. სასამართლოს განმარტებით კანონისმიერი ტრიბუნალი არაა სავალდებულო, რომ იყოს იუსტიციის სისტემაში ინტეგრირებული სასამართლო. დასაშვებია ასეთი ტრიბუნალების შექმნა, რომელიც სცდება საერთო სასამართლოთა განსჯადობას და იქმნება სპეციფიკური დავის საგნის განსახილველად.<sup>19</sup>

**კომისიის დაკომპლექტება პარლამენტის მიერ არამოსამართლე წევრებით** არ არღვევს კომისიის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას. კომისიას, რომლის შემადგენლობაში არ არიან მოქმედი მოსამართლეები და რომელიც დაკომპლექტებულია პარლამენტის მიერ, უფლებამოსილია მიიღოს მოქმედი მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება. სასამართლომ მიიჩნია, რომ კომისიის დამოუკიდებლობა არ ირღვევა იმით, რომ აღმასრულებელი ან საკანონმდებლო ორგანოს მონაწილეობით ხდება კომისიის დაკომპლექტება, რამეთუ ამ წესით ინიშნებიან მოსამართლეები არაერთ ევროპულ სახელმწიფოში. კონვენციით დასაშვებია ასეთი წესის გამოყენება, იმ პირობით, რომ არჩევის ან დანიშვნის შემდეგ, თანამდებობაზე გამწესებული პირები გავლენისა და ზეწოლისგან თავისუფლად ასრულებენ თავიანთ სასამართლო საქმიანობას სრული დამოუკიდებლობით.<sup>20</sup>

**სასამართლომ ხაზი გაუსვა ასევე იმას, რომ ის გარემოება, რომ არც ერთი მოქმედი მოსამართლე არ არის კომისიაში და კომისია დაკომპლექტებულია მხოლოდ არამოსამართლე წევრებით, გამომდინარეობს ვეტინგის პროცესის არსისა და მიზნებიდან, თავიდან აიცილოს ინტერესთა ინდივიდუალური კონფლიქტი და უზრუნველყოს საზოგადოების ნდობა პროცესისადმი.**

ვეტინგი განსხვავდება დისციპლინურის დევნისაგან, სადაც მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილების მისაღებად, მოსამართლეთა უმრავლესობას მოითხოვს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, როგორც ვოლკოვის (see *Oleksandr Volkov*, cited above, § 109) საქმეში, მაგრამ ამ კონკრეტულ საქმეში საკითხი ეხება ვეტინგის არაორდინალური პროცედურას, რომელიც გადაუდებელი საჭიროებით იქნა გამოწვეული, სასამართლო სისტემაში კორუფციის დასამარცხებლად, შესაბამისად სასამართლომ ვეტინგის პროცესი მიიჩნია *sui generis* და განსხვავებულ პროცედურად ჩვეულებრივი სადისციპლინო პროცესებისაგან. სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა, რომ კანონით კომისიის წევრების სტატუსი უზენაესი სასამართლოს წევრების სტატუსს უთანაბრდება<sup>21</sup>

**კომისიის დამოუკიდებლობას და მოსამართლის უმოძრაობის** პრინციპს არც ის გარემოება არღვევს, რომ მისი წევრები 5 წლის ვადით, ხელახლა ამ თანამდებობის დაკავების გამორიცხვით ინიშნებიან და მათი თანამდებობიდან გათავისუფლების ერთადერთი გზა არის დისციპლინური

19 Xhoxhonaj v. Albaneti (Application no. 15227/19), § 139

20 Xhoxhonaj v. Albaneti (Application no. 15227/19), § 295

21 Xhoxhonaj v. Albaneti (Application no. 15227/19), § 299, 300



პასუხისმგებლობა. კომისიის წევრობის ასეთი მოკლე ვადა, სწორედ ვეტინგის პროცესის არაორდინალურობითაა განპირობებული. ხელისუფლების არც ერთ შტოს უფლება არა აქვს უფლება გაათავისუფლოს თანამდებობიდან კომისიის წევრი.<sup>22</sup>

სასამართლომ ასევე იმსჯელა ვეტინგის სააპელაციო სასამართლოს კანონისმიერებასა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის, ასევე მისი დაკომპლექტების საკითხებზე და სააპელაციო პალატა მიიჩნია კანონისმიერ, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ორგანოდ, ზემოთ მითითებული ანალოგიური საფუძვლებით,<sup>23</sup>

ადამინის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ვეტინგის კომისიის და სააპელაციო პალატაში მმომჩივნის საქმის განხილვისას ასევე ვერ დაადგინა სამართლიანი სასამართლო პროცესის დარღვევა და მიიჩნია, რომ მომჩივნის ინფორმირებულობის უფლება, ასევე უფლება ადეკვატური დაცვისათვის საკმარის დროსა და შესაძლებლობზე ვეტინგის პროცესის მიმდინარეობისას გარანტიებული ჰქონდა. სასამართლომ საჯაროობისა და ზეპირობის პრინციპიც არ მიიჩნია დარღვეულად, რამეთუ კომისიაში საქმე ზეპირად იქნა განხილული, ხოლო სააპელაციო პალატამ კი დაასაბუთა (მოყვანილი იქნა არგუმენტები თუ რატომ არ განიხილა საქმე ზეპირად, რომ მოწმეების დაკითხვა და სხვა მტკიცებულებების ზეპირად გამოკვლევა არ იქნა წარმოებული).

სასამართლომ დაადგინა, რომ არც სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი იყო დარღვეული ვეტინგის პროცესის წარმოებისას, რაზეც მომჩივანი დაობდა ხანდაზმულობის ვადასთან დაკავშირებით, ვინაიდან კომისიის მიერ მისი ქონებრივი მდგომარეობის შესწავლა შორეული წარსულიდან განხორციელდა, კერძოდ 1990 იან წლებიდან. სასამართლომ დადენილად მიიჩნია, რომ კომისიამ შეისწავლა და შეაფასა მომჩივნის ქონების ღირებულება, მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში, 1990-2000 წლებში, მომჩივანს არ უსარგებლია ვეტიგის კანონში არსებული პუნქტით, რომელიც შეიცავს შემამსუბუქებელ გარემოებად დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობას, ვადის ხანგრძლივობიდან გამომდინარე. მომჩივანს ასეთი დოკუმენტი არ წარუდგენია. ასევე მომჩივანს თავის დროზე მისი ქონების ღირებულება არ ჰქონდა სწორედ შეფასებული.

ევროპულმა სასამართლომ არც კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლება მიიჩნია დარღვეულად, რამეთუ, ვეტინგის კომისიას გადაწყვეტილებით არ აუკრძალა მომჩივნისათვის ადვოკატის საქმიანობის უფლება, მით უფრო, რომ მომჩივანს გააჩნია ადვოკატად საქმიანობის ლიცენზია.

სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ ვეტინგის კომისიის გადაწყვეტილებით არ იქნა დარღვეული არც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, კერძოდ პირად უფლებაში შესვლა მოხდა კანონის შესაბამისად, კერძოდ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. არაერთი კვლევით და ანგარიშით დადგნილ იქნა სასამართლო სისტემის კორუმპირებულობა, მათ შორის GRECO ანგარიშით. ვეტინგის კანონის უმთავრესი მიზანია სასამართლოს ხელისუფლების რეალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. სასამართლომ ხაზი გაუსვა ვენეციის კომისიის დასკვნას, რომლის შესაბამისად მოსამართლეთა ვეტინგი არა მხოლოდ გამართლებულია არამედ საჭიროა კორუფციისაგან დასაცავად.<sup>24</sup>

სასამართლომ დაადგინა, რომ ვეტინგი წარმოადგენს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად აუცილებელი საშუალებას.

22 Xhoxhonaj v. Albaneti (Application no. 15227/19), § 297, 298

23 Xhoxhonaj v. Albaneti (Application no. 15227/19), § 310-317

24 The Venice Commission also stated that the vetting of judges and prosecutors “was not only justified but necessary to protect [the country] from the scourge of corruption, which, if not addressed, could completely destroy the judicial system, Xhoxhonaj v. Albaneti (Application no. 15227/19), § 392

## 2.7. შედეგები

vetting კანონის მიღების შემდეგ, vetting-ის კომისიამ პირველი გადაწყვეტილება მიიღო 2018 წლის მარტში. გადაწყვეტილება ეხებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებას, რომელმაც ვერ შეძლო დაედასტურებინა ასი ათასობით ევროს ღირებულების ქონების წარმომავლობა. მას შემდეგ 276 საქმე იქნა განხილული. მხოლოდ 113-მა პირმა შეინარჩუნა თანამდებობა. 100 გათავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან, დიდი ნაწილი კი – დაუსაბუთებელი ქონების გამო დაითხოვეს სამსახურიდან. 35-მა მოსამართლემ დაწერა განცხადება, 22 პროცესი შეწყდა, 2 პირს დროებით შეუჩერდა უფლებამოსილება. სააპელაციო პალატამ 63 საქმე განიხილა, აქედან – 15 შეცვალა. ამას ყველაფერს თავის შედეგები ჰქონდა. ბევრ მოსამართლეს, რომლებიც ხელახლა არ გადაინიშნენ, ვადა ამოეწურათ; საკონსტიტუციო სასამართლოში 9 მოსამართლიდან ერთი დარჩა. უზენაეს სასამართლოშიც 17 მოსამართლიდან ერთი მოსამართლე დარჩა და ამით ქმედუუნარო გახდა ორივე სასამართლო. ამას მოჰყვა პოლიტიკური კრიზისი, მმართველი პარტია სასამართლოს ქმედუუნარობას თავის სასიკეთოდ იყენებდა და უსამართლო კანონებს იღებდა. აქედან გამომდინარე, არაერთხელ დაისვა შეკითხვა – რეფორმა საკუთარი შედეგების მსხვერპლი ხომ არ გახდა? თუმცა ამ კითხვა ზე უარყოფით პასუხს სცემდნენ.

## 3. რუმინეთი

### 3.1. პერსონალური ცვლილებები – ლუსტრაცია

რუმინეთში იუსტიციის სფეროში არ განხორციელდა ლუსტრაცია. ეს გულისხმობს იმას, რომ სოციალისტური წარსულის დასაძლევად, არ მომხდარა პერსონალური ცვლილებები. საწყის ეტაპზე 1990 წელს განცხადება გაკეთდა რეფორმებთან დაკავშირებით, ამავე წლის 11 მაისს მიღებულ იქნა დეკრეტ კანონი N 140, იუსტიციის პერსონალის დანიშვნისა და ხელფასების შესახებ. მართალია ამ კანონით დადგინდა იუსტიციის და პროკურატურის მთლიანი პერსონალის გადასინჯვა და შემოწმება იმ მიზნით, რომ მორალურად და პროფესიულად შეუსაბამო პერსონები ჩამოეცილებინათ და დაენიშნათ ახალი საიმედო ღირებულებების მქონე მუშაკები, შეუქცევადობის პრინციპის განსახორციელებლად, მაგრამ სერიოზული ცვლილებები არ განხორციელებულა.<sup>25</sup> 1992 წლის საერთო სასამართლოების კანონით განმტკიცდა სასამართლოს დამოუკიდებლობა ისე, რომ არ მომხდარა მორალურად და პროფესიულად შეუსაბამო პერსონების ჩამოცილება. აშკარაა, რომ რუმინეთის სამართლებრივი პოლიტიკა მოსამართლეთა უფლებებთან მიმართებაში მთავარ ღერძს ავლენს მომავალი თაობის გაუმჯობესებულ განათლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ამ თვალსაზრისით, დიდ ძალისხმევა იქნა გაწეული. 1997 წელს, საერთო სასამართლოების შესახებ კანონის ცვლილებით, დაფუძნდა მოსამართლეთა ინსტიტუტი. ეს ინსტიტუტი იყო როგორც იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულებისათვის ასევე, მოქმედი მოსამართლეების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. 2004 წლამდე ეს რეფორმები წარმატებულად ითვლებდა. თუმცა პრობლემებს აღიარებენ.<sup>26</sup>

### 3.2. შედეგები

მარტო განათლება და აღზრდა არ იყო საკმარისი სასამართლოს დამოუკიდებლობისათვის. ერთ-ერთ საშუალებად მიჩნეული იქნა კორუფციასთან ბრძოლა. პარლამენტში წარადგინეს კანონპროექტის პაკეტი კორუფციასთან ბრძოლის თაობაზე 2002 წელს. 35 მოსამართლის მიმართ დაიწყო გამოძიება. 9 მოსამართლის მიმართ – აღიძრა ბრალდება. კორუფცია კიდევ კარგა ხანს მძვინვარებდა სასამართლოში.<sup>27</sup>

25 Justizreform in Rumänien Leonhardt, Peter . – 2003, S 13 ff

26 [https://drive.google.com/file/d/18IDC7vuXcfSZK\\_O8M0alGvI2sc1ktD5F/view?fbclid=IwAR0lFvwfsP3L-DloalUK43I4rMDL7yVW6uOfTn5PL0psaxs1BvTIKVD0qWlA](https://drive.google.com/file/d/18IDC7vuXcfSZK_O8M0alGvI2sc1ktD5F/view?fbclid=IwAR0lFvwfsP3L-DloalUK43I4rMDL7yVW6uOfTn5PL0psaxs1BvTIKVD0qWlA)

27 [https://drive.google.com/file/d/18IDC7vuXcfSZK\\_O8M0alGvI2sc1ktD5F/view?fbclid=IwAR0lFvwfsP3L-DloalUK43I4rMDL7yVW6uOfTn5PL0psaxs1BvTIKVD0qWlA](https://drive.google.com/file/d/18IDC7vuXcfSZK_O8M0alGvI2sc1ktD5F/view?fbclid=IwAR0lFvwfsP3L-DloalUK43I4rMDL7yVW6uOfTn5PL0psaxs1BvTIKVD0qWlA)

## 4. პოლონეთი

### 4.1. სასამართლო ხელისუფლება საბჭოთა სისტემის რღვევის შემდეგ

საჭოთა სისტემის რღვევის შემდეგ, პოლონეთმა გადასინჯვის ლუსტრაციის ნაკლებად მზლუ-დავი მოდელი შემოიღო; თუმცა ლუსტრაციის კანონით, არც კომუნისტური პარტიის წევრებს და არც 1989 წლამდე საჯარო ფუნქციის განმახორციელებლ პირებს არ შეექმნათ შეზღუდვები შემდ-გომი პოლიტიკური, იურიდიული, აკადემიური სამხედრო კარიერის გასაგრძელებლად. დღეისათ-ვის ეჭვს აღარ იწვევს ის გარემოება, რომ 1989 წელს განხორციელდა სასამართლოს ზედაპირული რეფორმები. ლუსტრაციის კანონი მიღებულ იქნა 1997 წელს, მაგრამ ვერ ამოქმედდა 1999 წლამ-დე. 1998 წელს შეიქმნა ვარშავის სააპელაციო სასამართლოში V დეპარტამენტი (ლუსტრაციის სასამართლო).<sup>28</sup>

### 4.2. ლუსტრაცია

ლუსტრაციის ცნების განმარტება კანონში არ იყო. პოლონეთში ლუსტრაცია ნიშნავდა: საჯა-რო სამსახურთან დაკავშირებული ინდივიდების კავშირის შემოწმებას უშიშროების სამსახურთან, შემოწმებას ექვემდებარებოდნენ მხოლოდ ის პირები, რომლებსაც ახალ დემოკრატიულ ქვეყანაში ეკავათ საჯარო სამსახურში თანამდებობა, ან ასეთი თანამდებობების დაკავების კანდიდატებს წარმოადგენდნენ. ლუსტრაცია მიმართული იყო დეკომუნისაციისაკენ. მიზანი იყო საზოგადოების გაწმენდა – ველური ლუსტრაცია. ეს იყო პერიოდი, როცა გამოქვეყნდა გარკვეულ პირთა სია, რომელთაც ბრალად ედებოდათ ყოფილ კომუნისტურ უშიშროების სამსახურთან მჭიდრო კავ-შირი. ამ პირებს გასაჩივრების უფლება არ ჰქონდათ. ველური ლუსტრაცია გახდა პოლონეთის პოლიტიკური ცხოვრების ძლიერი იარაღი.

კანონი ყველა იმ პირს, რომლებსაც 1989 წლამდე, პოლონეთში ძალაუფლების ტრანსფორმა-ციამდე, საჯარო სამსახურში ეკავათ თანამდებობა, ან მომავალში სურდათ ასეთი თანამდებობის დაკავება, ავალდებულებდა გაეკეთებინა განცხადება ხომ არ თანამშრომლობდა სახელმწიფო უშიშროების სამსახურთან 1944-90-იან წლებში. განცხადების გაკეთების ვალდებულება ეკისრე-ბოდა ფართო სპექტრს, მათ შორის მოსამართლეებსაც.<sup>29</sup>

ლუსტრაცია შეიცავდა A და B ნაწილებს, კერძოდ

A- კავშირი და თანამშრომლობა არ ჰქონდა;

B- რჩებოდა საიდუმლოდ და არ საჯაროვდებოდა

თანამშრომლობაზე დადებითი პასუხისას, სავალდებულო იყო თანამშრომლობის დეტალუ-რად აღწერა. ამ პირთა გვარები საჯაროდ ცხადდებოდა სიის სახით.

თუმცა ასეთ პირებს შეეძლოთ კვლავ მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში და კანდიდატები ყოფილიყვნენ საჯარო სამსახურში თანამდებობის დასაკავებლად. მათ მომავალზე გადაწყვეტი-ლების მიღება მინდობილი ჰქონდა ამომრჩეველს. დასჯადი იყო მხოლოდ სიცრუე ანუ არასწორი ინფორმაციის მიწოდება უშიშროების სამსახურებთან თანამშრომლობაზე. უშიშროების სამსა-ხურებთან თანამშრომლობა არ იყო დასჯადი; ლუსტრაცია მოიცავდა ტყუილის თაობაზე საქმის წარმოების დაწყებას, რომელსაც განიხილავდა ლუსტრაციის სასამართლო. მიუხედავად ლუსტ-

28 Justizrecht und Justizreform in Polen, Vries, Tina de . – 2004, S.7ff. <https://www.laender-analysen.de/polen/pdf/PolenAnalysen17.pdf>

29 Lustration, Akten Öffnung, demokratischer Umbruch in Polen, Tschechien, der Slowakai und Ungarn, Münster, 2005, D. Bingen, S. 19, 57

რაციის ცნების არარსებობისა, ლუსტრაციის კანონი სამ ელემენტს მოიცავდა:

- a. სახელმწიფო უშიშროების ინსტიტუტი – კომუნისტური პერიოდში, 1944-90 წლები;
- b. პერსონები, ვისაც თანამდებობები ეკავათ საჯარო სამსახურში;
- c. წარსული ურთიერთთანამშრომლობა<sup>30</sup>.

### 4.3. ლუსტრაციის განმახორციელებელი ორგანოები

#### A. საჯარო ინტერესის კომისიის ოფისი

ეს არის ლუსტრაციის კანონის მნიშვნელოვანი ინსტიტუტი. კომისარი და მისი ორი მოადგილის ნომინირება ხდება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ იმ კანდიდატებიდან, რომელთაც შეუძლიათ გახდნენ მოსამართლე და, რომლებიც, არ თანამშრომლობდნენ უშიშროების სამსახურთან. კანდიდატები ავსებენ ლუსტრაციის დეკლარაციას, შემდეგ ამას ამოწმებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და დასამტკიცებლად უზენაესი ლუსტრაციის სასამართლოს დამტკიცების შემდეგ, ხდება მათი დანიშვნა – 6 წლის ვადით. მათ უფლება არა აქვთ იყვნენ პოლიტიკური პარტიის წევრები და ისინი შეიძლება გათავისუფლდნენ თანამდებობიდან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ. ლუსტრაციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით შეუძლია გაასაჩივროს კომისარმა.

#### B. საჯარო ინტერესების კომისიის ოფიცრის ფუნქცია

საჯარო ინტერესების კომისიის ოფიცრის მთავარი ფუნქციაა ლუსტრაციის განცხადების ანალიზი და ლუსტრაციის პროცესის დაწყება. იგი ანგარიშვალდებულია პრეზიდენტის, სენატის, პარლამენტის, პრემიერმინისტრის და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე. მას თავისი ოფისი და აპარატი გააჩნია. ლუსტრაციის სასამართლოს შეუძლია ex officio ლუსტრაცია დაიწყოს კომისიის მიმართ. ლუსტრაციის სასამართლოს პროცესის დაწყება შეეძლო ისეთ საქმეებზე, სადაც განმცხადებელი აბობდა, რომ მისი თანამშრომლობა უსაფრთხოების სამსახურთან იძულებითი იყო და მასზე იძულებას ახორციელებდნენ.

### 4.4. გასაჩივრება

14 დღის ვადაში მხარეებს შეუძლიათ გაასაჩივრონ ლუსტრაციის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, იმავე ლუსტრაციის სასამართლოში, რომელსაც განიხილავს მხოლოდ აპელაციის სხვა მოსამართლეთა შემადგენლობა. მეორე ინსტანციის შემდეგ, მხარეებს კასაციის უფლება აქვთ. კასაცია უზენაეს სასამართლოში ახლადგამოვლენილი და აღმოჩენილი გარემოებებით დაიშვება.

### 4.5. სანქციები

ერთადერთი სანქცია არსებობს მხოლოდ ცრუ ლუსტრაციის დეკლარაციის შემთხვევაში. პირი კარგავს მორალურ უფლებას დაიკავოს საჯარო სამსახურში თანამდებობა ერთიდან 10 წლამდე ვადით, თუ დადგინდება, საჯარო სამსახურში თანამდებობაზე მყოფი ინდივიდების მიერ ცრუ განცხადების გააკეთება, უშიშროებასთან თანამშრომლობაზე, ეს პირები ავტომატურად კარგავენ თანამდებობას. სანქცია განსხვავებული შეიძლება იყოს, მაგ, მაგ. გადამდგარ მოსამართლე ასეთ შემთხვევაში კარგავს პენსიას.

30 H. Zihang, Die Aufarbeitung der Kommunistischen Staatssicherheitsdienste in Deutschland und Polen, S11 ff



## 4.6. შედეგები

როგორც აღინიშნა, ლუსტრაციის კანონი არ აწესებს პასუხისმგებლობას პოზიტიური/დადებითი ლუსტრაციისთვის; პასუხისმგებლობა არსებობს ცრუ ლუსტრაციის დეკლარაციისათვის. თუმცა, მკაფიო პოზიციაა, რომ დადებითი ლუსტრაციის შემთხვევაში ლუსტრირებული პირები კარგავენ საჭირო მორალურ უფლებას – ეკავით თანამდებობები. პოზიტიური ლუსტრაციის შემთხვევაში, პრაქტიკაში ხდებოდა დისციპლინური წესით მოსამრთლეთა თანამდებობიდან გათავისუფლება,<sup>31</sup> დისციპლინური სანქციები განიხილებოდა ლუსტრაციის, როგორც გვერდითი მოვლენები (side effect).<sup>32</sup>

31 პოზიტიური ლუსტრაციის შემდეგ თანამდებობიდან გაათავისუფლეს პროკურორები, არსებობდა მოთხოვნა ასეთი მოსამრთლეების თანამდებობიდან გათავისუფლებაზეც.

32 Justice as prevention, Vetting Public Employees in Transitional Societies, 2006. The Politics of the Lustration Law in Poland 1989-2006, p 222



## 5. ჩეხეთის რესპუბლიკა

ბარხატის რევოლუციის შემდეგ კანონი ლუსტრაციის შესახებ მიღებულ იქნა 1991 წელს. ამ კანონის შესაბამისად, ლუსტრაციით უნდა მომხდარიყო წამყვანი კომუნისტური დაჯგუფებების დაბლოკვა საჯარო და პოლიტიკური ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად. 1993 წელს მიიღეს კანონი კომუნისტური პარტიის მართლწინააღმდეგობასა და მის მიმართ წინააღმდეგობაზე, რითაც კომუნისტური რეჟიმი არალეგალურად გამოცხადდა. პირველი 5 წლის განმავლობაში, კერძოდ, 1996 წლის ბოლომდე, კანონი მოიცავდა უშიშროების სამსახურის თანამშრომლებს და ინფორმანტებს, კომუნისტური პარტიის ფუნქციონერებს, სახალხო მილიციის წევრებს, 1948-68 წლებში საგამოძიებო კომისიის წევრებს ჩეხეთისა და საბჭოთა პარტიული სკოლების კურსდამთავრებულებს და მათ საჯარო სამსახურში თანამდებობების დაკავება ეკრძალებოდათ. უშიშროების თანამშრომლებად ითვებოდა ყველა ის პირი, ვინც შსს პერსონალურ მონაცემთა ბაზაში ასეთებად იყვნენ აღნიშნულნი. ორი კანონი იქნა მიღებული. ამ კანონების მიღების შემდეგ, ყველას, ვისაც საჯარო სამსახურში თანამდებობა ეკავა 1991-1992 წლებში, ან თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს წარმოადგენდა, უნდა გაეგლო სკრინინგი – პროცედურა. ამ პროცესში მათი ვალდებულება იყო წარმოდგენინათ ორი დოკუმენტი: ე.წ. ლუსტრაციის სერტიფიკატი და პერსონალური განცხადება. ლუსტრაციის სერტიფიკატი უთითებდა – იყო თუ არა პირი სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ოფიცერი ან თანამშრომელი კომუნიზმის პერიოდში. დადებითი ლუსტრაციის სერტიფიკატი უთითებდა, რომ ეს პირი იყო უშიშროების სამსახურის ოფიცერი ან თანამშრომელი, შეიცავდა საჯარო სამსახურში ამ პირის მიერ თანამდებობის დაკავების აკრძალვას. სერტიფიკატის გაცემა ხდება კანდიდატის მოთხოვნის ან იმ ინსტიტუციის მოთხოვნის საფუძველზე, სადაც ეს პირი უნდა დასაქმდეს, შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ფაილების შესწავლის შემდეგ, რომლის ადმინისტრირებაც ხდება ტოტალიტარული რეჟიმის შემსწავლელ ინსტიტუტთან არსებულ არქივში. თანამდებობაზე მყოფი პირის ან კანდიდატის პირადი განცხადება არის ცალმხრივი აქტი, რომელშიც იგი აცხადებს რომ, ის არ ყოფილა კომუნისტური პარტიის მაღალი თანამდებობის პირი, სახალხო მილიციის წევრი ან გარკვეული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი. ასეთი განცხადების გაკეთების მოთხოვნა ეხება მხოლოდ იმ პირებს, ვინც 1971 წელს დაიბადნენ. ჩეხეთისა და სლოვაკეთის ნებისმიერი სრულწლოვანი მოქალაქე სარგებლობს უფლებით, საფასურის სანაცვლოდ, მიიღოს ინფორმაცია იმის შესახებ, თვითონ ან სხვა პირი, ხომ არ არის რეგისტრირებული შსს შესაბამის აქტებში – როგორც საბჭოთა პერიოდში უშიშროების სამსახურის თანამშრომელი.<sup>33</sup> დადებითი პასუხის შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს საჩივრის შეტანას. ყველა პოზიტიურად ლუსტრირებულს 15 დღის ვადაში ლუსტრაციის სერტიფიკატის მიღებიდან უნდა დაეტოვებინა თანამდებობა. აღმოსავლეთ ეროპის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ჩეხოსლოვაკიამ ელიტარული წმენდის საკმაოდ რადიკალური ფორმა აირჩია, რასაც მალე შედეგებიც მოჰყვა, არა მხოლოდ იმ პირთა მიმართ, ვისაც თანამდებობები ეკავათ, არამედ იმ პირთა მიმართაც, რომლებზეც ასევე ვრცელდებოდა ლუსტრაცია ხელახლა თანამდებობის დასაკავებლად, როგორც თანამდებობაზე გამწესების წინაპირობა. 1992 წელს შევიდა 260.000 განცხადება, საიდანაც 8000 იყო პოზიტიური. ლუსტრაციის კანონი კომუნისტების უკან დაბრუნების თავიდან აცილების ეფექტურ ღონისძიებას წარმოადგენდა. ჩეხოსლოვაკიის ლუსტრაცია ვიწროდაა გაგებული. ის წარმოადგენს გარდამავალი მართლმსაჯულების საშუალებას, რომელიც მიზნად ისახავს – დაიცვას ახალგარდა დემოკრატიული სახელმწიფო ყოფილი ტოტალიტარული რეჟიმის საფრთხეებისაგან და მოახდინოს ასეთი რეჟიმის დაბრუნების პრევენცია იმით, რომ დაბლოკოს ეს ელიტა საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად. ლუსტრაციას ჩეხეთში არასოდეს ჰქონდა კრიმინალთან ან კორუპციისთან ბრძოლა დღის წესრიგში.

33 Lustration, Akten Öffnung, demokratischer Umbruch in Polen, Tschechien, der Slowakai und Ungarn, Münster, 2005, J. Sonka, J. Basta, S. 101ff



## 5.1. სასამართლო სისტემის შესახებ 1991 წლის კანონი

მოსამართლეების და პროკურორების შეცვლას შეეხო 1991 წლის კანონი სასამართლო სისტემის შესახებ. იუსტიციის მინისტრს, სასამართლო სისტემის შესახებ კანონით, უფლება მიენიჭა კანონით დადგენილ ვადაში ის მოსამართლეები გაეთავისუფლებინა თანამდებობიდან, რომლებიც კომუნისტური დიქტატურის დროს მოსამართლის მოვალეობებს არღვევდნენ, ან მართლსაწინააღმდეგოდ ერეოდნენ სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში. ამ კანონით იუსტიციის მინისტრს ჰქონდა დამატებით უფლება კანონის შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში ასეთი მოსამართლეები დაბალი ინსტანციის სასამართლოში გადაეყვანა. ჩეხოსლოვაკია ერთ-ერთი ის გამონაკლისი პოსტკომუნისტური სახელმწიფო იყო, სადაც მოსამართლეთა წარსულის გადასინჯვა 1991 წლის კანონის საფუძველზე მოხდა.<sup>34</sup>

## 5.2. მოსამართლეთა ლუსტრაცია

პერსონალურ პოლიტიკაში მომდევნო ჩარევა იყო ე. წ. ლუსტრაციის კანონი, რომელიც სასამართლო სისტემის კანონის შემდეგ, პარლამენტმა რამოდენიმე დღის მოგვიანებით მიიღო. ლუსტრაციის კანონი არავის სჯიდა, არც სასჯელს ან ჯარიმას აკისრებდა. ის ეხებოდა საჯარო სექტორის რამდენიმე სფეროს. ლუსტრაციის კანონი ეფუძნებოდა ჩეხოსლოვაკიაში იუსტიციის პერსონალური ცვლილების საკითხებს. ლუსტრაციის კანონი ადგენდა მოსამართლის მიერ მისი პროფესიის განსახორციელებლად საჭირო შემდგომ წინაპირობებს. ამ კანონის შესაბამისად, მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება დაიშვებოდა თუ ისინი ვერ დააკმაყოფილებდნენ კანონში ჩამოთვლილ პროფესიისათვის განსაზღვრულ წინაპირობებს.

ლუსტრაციის კანონი ეფუძნებოდა person-by-person specific vetting – პერსონიდან პერსონამდე სპეციალურ შემოწმებას. ჩეხეთის ლუსტრაციის მოდელი ეკუთვნის ე. წ. Exclusive personla System of lustration-ს.

განასხვავებენ ოთხ სისტემას: **exclusive, inclusive, reconciliatory, mixed personal System.** ლუსტრაციის ექსკლუზიური სისტემა ხელს უშლის იმ პირებს ვინც წარსულ რეჟიმთან ასოცირდება დაიკავოს გარკვეული პოზიციები საჯარო სამსახურში ახალი რეჟიმის დროს.<sup>35</sup>

ამ ოთხი სისტემიდან exclusive system აირჩია ჩეხეთმა ეს არის ყველაზე მკაცრი სისტემა, და წარსულიდან გამოსვლის ყველაზე რადიკალური გზაა. ამ სისტემების კარგ და ცუდად შეფასება არ არსებობს, რადგან ამ სისტემებში იერარქია არ არსებობს. შერჩევა დამოკიდებულია პოლიტიკურ ტრადიციებზე და იმ გზაზე, რომლითაც ხდება დემოკრატიაზე გადასვლა.<sup>36</sup>

## 5.3. შედეგები

კომუნისტური რეჟიმის მოსამართლეთა საქმიანობის გაშუქების საფუძველზე 1.460 მოსამართლიდან თანამდებობა დატოვა 484- მა მოსამართლემ. ლუსტრაცია წარმოადგენდა დეკომუნიზაციის პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ნაწილს, რომელიც მიზნად ისახავს პოსტ-კომუნისტური პოლიტიკისა და კანონიერი ტრანსფორმაციის პერსონალურ ასპექტს. ის ეფუძნება იდეას, რომ ცალკეულ პირებს არ შეიძლება გამოუცხადო ნდობა კომუნისტური რეჟიმის დროს თანამდებობებზე ყოფნის გამო და მათ არ უნდა ჰქონდეთ წვდომა ახალი დემოკრატიული რეჟიმის დროს ცალკეულ საჯარო თანამდებობებზე. გადასინჯვას დაქვემდებარებულ პირებს გადაეცემოდა ნეგატიური მოწმობა შსს მინისტრისაგან.<sup>37</sup>

34 Justizreformen in der Tschechoslowakei und ihren Nachfolgestaaten, P. Bohata, 2003 s. 17ff

35 David, Roman: Lustration and Transitional Justice. Personnel Systems in the Czech Republic, Hungary, and Poland, University of Pennsylvania Press, Philadelphia, 2011, pp. 27-39.

36 Probleme des öffentlichen Dienste in der Tschechischen Republik, K. Frauenberger, 2006 S. 37

37 Justizreformen in der Tschechoslowakei und ihren Nachfolgestaaten, P. Bohata, 2003 s. 19 ff

## 6. გერმანია

### ვეტინგი

გდრ-ის კონსტიტუციის შესაბამისად მხოლოდ ისაა მოსამართლე, ვინც ხალხისა და სოციალისტური სახელმწიფოს ერთგულები არიან (მუხლი 194). ამის წინაპირობას წარმოადგენდა როგორც პროფესიული ასევე არაპროფესიული საქმიანობა მარქსისტულ-ლენინური პარტიისა და მუშათა კლასისათვის.<sup>38</sup> საბჭოთა რეჟიმის რღვევის შემდეგ, გდრ-ში გაჩნდა კითხვა, როგორ უნდა მოხდეს წარსულში ჩადენილ უსამართლობის პასუხიმგებლობის კონცეპტუალიზება. ვეტინგის მექანიზმი გვთავაზობს სანქციებს იმ ქმედებებისათვის, რაც დანაშაულს არ წარმოადგენდა გდრ-ის კანონმდებლობით, მაგრამ რაც, მიუხედავად ამისა, განიხილებოდა გასაკიცხად გდრ-ის მოქალაქეთა უმრავლესობის და გარე დამკვირვებლის მიერ. ეს იყო ვეტინგის სოციალური გაგება. სამართლებრივად ვეტინგი არ მოიაზრებოდა როგორც – პასუხი წარსულის არასწორ ქმედებებზე. თანამდებობიდან გათავისუფლება უფრო მეტად გამართლებული იყო, თუ პირი არ შეეფერებოდა საჯარო სამსახურს. მოსამართლის მიერ წარსულის არასწორი მოქმედებები, შესაძლებელი იყო გაეთვალისწინებინათ, მაგრამ აუცილებლობას არ წარმოადგენდა გათვალისწინებულიყო გამოსადევნობის შესაფასებლად, ანუ – რამდენად გამოდგებოდა ესა თუ ის პიროვნება მოსამართლედ. ვეტინგის ასეთი ორგვარი გაგება იწვევდა იმედგაცრუებას ვეტინგის პროცესის კურსზე. ვეტინგი გერმანიაში, თავდაპირველად, კვაზი დასჯის საფუძვლით იქნა მოთხოვნილი, მაგრამ მოხდა მისი კოდიფიცირება და იმპლემენტირება, მთელი რიგი საფრთხეების გათვალისწინებით, ლოიალური და სანდო საჯარო სამსახურის შესაქმნელად. ვეტინგს გაერთიანებულ გერმანიაში ადგილი ჰქონდა ორ განსხვავებულ არენაზე.

### 6.1. გაერთიანების ხელშეკრულება

გერმანიის გაერთიანების შემდეგ სასამართლოები არ გაუქმებულა და არც მოსამართლეები გათავისუფლებულან თანამდებობიდან. გაერთიანების შეთანხმება ცდილობს სამართალდამცავი ორგანოები მოარგოს ფედერალური რესპუბლიკის სამართალდამცავ სისტემას. თუმცა ეს არც პოლიტიკურად და არც პრაქტიკულად იყო შესაძლებელი. სახეზე იყო გდრ-ის და ფედერალური რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოს შეუთავსებლობა.<sup>39</sup> მსგავსება და კონტინუიტეტი სამოქალაქო და სოციალისტური იუსტიციის და ამ ორი სისტემების დაახლოება გამორიცხული იყო. კონტინუიტეტი სოციალისტური იუსტიციის სამართლებრივ სახელმწიფოსთან შეუძლებელი ხდება.<sup>40</sup> გაერთიანების ხელშეკრულება ითვალისწინებს პირის საჯარო სამსახურიდან გათავისუფლებას – თუ მისი მონაცემები ხელშეკრულების მოთხოვნებს არ შეესაბამება (მუხლი 33).

### 6.2.. გდრ-იდან გადმოყვანილ მოსამართლეთა სტატუსის ფორმები

ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ, საჭირო გახდა გარდამავალი განსაკუთრებული რეგულაციები – უსამართლო სახელმწიფოდან სამართლებრივზე გადასვლასთან დაკავშირებით. სასამართლო სისტემაში პერსონალური მასშტაბური ცვლილებები არ მომხდარა. Volkskammer-ის არჩევნებამდე, 1990 წლის 18 მარტს, გდრ-ის იუსტიციის სამინისტრომ მიიჩნია, რომ 1989/1990

38 <https://www.geschkult.fu-berlin.de/e/tongilbu/publikationen/2015/band42/index.html>

39 [https://www.kj.nomos.de/fileadmin/kj/doc/1992/19922Majer\\_S\\_147.pdf](https://www.kj.nomos.de/fileadmin/kj/doc/1992/19922Majer_S_147.pdf)

40 [https://www.kj.nomos.de/fileadmin/kj/doc/1992/19922Majer\\_S\\_147.pdf](https://www.kj.nomos.de/fileadmin/kj/doc/1992/19922Majer_S_147.pdf)

წლის ბოლოს, ცალკეული – ოდიოზურ პიროვნებებად ცნობილი მოსამართლეთა წასვლის გარდა, ყველა მოქმედი მოსამართლე, ვინც თანამდებობაზე იყო, შეინარჩუნებდა თანამდებობას და დაინიშნებოდა უვადოდ, ხოლო ახლადდამატებული მოსამართლეები კი პირობითი გამოსაცდელი ვადით დაინიშნებოდნენ. გაერთიანების შემდეგ, 1990 წლის სამი ოქტომბრიდან, გდრ-ის მოქმედი მოსამართლეები ინარჩუნებენ დროებით თანამდებობებს. ისინი მოსამართლის თანამდებობაზე რჩებიან გაერთიანების შეთანხმების საფუძველზე, 1991 წლის 15 აპრილამდე, გდრ-ის მოსამართლეთა კანონის შესაბამისად. მოსამართლეებისთვის უნდა ყოფილიყო ახალი სწავლება. გდრ-ში 1600 მოსამართლე იყო.

გაერთიანების ხელშეკრულებით, ახალ 9 ფედერალურ მიწაზე შეიქმნა მოსამართლეთა საარჩევნო კომიტეტები. კომიტეტი შედგება მიწის პარლამენტის ექვსი წევრისა და მოსამართლეთა მიერ არჩეული ოთხი მოსამართლისგან. პირველ რიგში, მათ უნდა განეხილონ ყველა მოქმედი მოსამართლის საკითხი, მათივე განაცხადის საფუძველზე. კომიტეტის თანხმობის შემთხვევაში, იუსტიციის მინისტრს შეეძლო მოქმედი მოსამართლე გადაენიშნა გარკვეული პერიოდის განმავლობაში ან გამოსაცდელი ვადით, მაგრამ არა როგორც უვადო მოსამართლე. (§§ 11 II 1, 12 I DDR-RiG). მოსამართლეთა შესარჩევ კომიტეტს თავისი საქმიანობა უნდა დაესრულებინა 1991 წლისთვის. გადასინჯვამდე ყველა მოსამართლე თავის პოზიციას ინარჩუნებდა. გაერთიანების შეთანხმების დასასრულს, გასაგები გახდა, რომ გდრ-ის სამართალდაცვის პერსონალური და მატერიალური რესურსები შეუსაბამო და არასაკმარისი იყო ფედერაციული გერმანიის სამართლებრივი მოთხოვნებისადმი. გდრ-ში წარმოიშვა მოსამართლეთა რიცხვის გაზრდის საჭიროება. მოსამართლეთა საჭირო რიცხვი, უპირველესად, გდრ-ის იურისტებით უნდა შევსებულიყო. 1990 წლის 5 ივლისიდან 1991 წლის 15 აპრილამდე მოსამართლეთა შესარჩევმა კომიტეტებმა მიიღო მოსამართლეთა თანამდებობაზე შენარჩუნების გადაწყვეტილება. გდრ-ის მოსამართლეთა შენარჩუნება და მათი შემდგომი დასაქმება არის ყველაზე რთული თემა და საწინააღმდეგო არგუმენტები არსებობს. მიიჩნეოდა, რომ გდრ-ის მოსამართლე სამოქალაქო საქმეებშიც კი რომ ნეიტრალური ყოფილიყო, ის გახდლდათ იდეოლოგიურად აღზრდილი და პოლიტიკურად შემოწმებული პიროვნება, რომელიც სწორედ იმ პერიოდში იუსტიციის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაციის ნაწილი იყო. შემდეგი პრობლემა გახლავთ გაერთიანების შემდეგ განათლება და პროფესიული პრაქტიკა, რომელიც ფედერაციულ გერმანიის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა. ეს არა მხოლოდ ფედერალური სამართლის არცოდნას შეეხებოდა, არამედ ასევე, განსხვავებული სამართლის ტექნიკისა და ნორმის შემადგენლობის მაღალ დონეს – როგორც ერთიანი თავისუფალი ეკონომიკური და სოციალური წესრიგის კორელატს

გაერთიანების შეთანხმება ითვალისწინებს ინტეგრაციის ძალიან ფრთხილ გზას. მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს ის პირიც, ვინც პროფესიული კვალიფიკაცია გდრ-ის პერიოდში მიიღო იმ დროს არსებული სამართლის შესაბამისად. რეგულაცია უკავშირდებოდა 1990 წლის ზაფხულში მიღებულ გდრ-ის კანონს მოსამართლეთა შესახებ – ვინც ამ კანონის და წესების შესაბამისად, მოსამართლეთა შესარჩევი კომისიის მიერ დროებით ან გამოსაცდელი ვადით იქნა დანიშნული, მათ უფლება აქვთ გაუთანაბრდნენ უვადოდ დანიშნულ მოსამართლეებს. ამგვარად, რეგულაციები უვადოდ გადანიშვნის შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ გარკვეული გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ. 1990 წლის მოსამართლის კანონით დანიშნული მოსამართლის უკან გაწვევა ხდებოდა, როცა დამატებით ფაქტები გამოვლინდებოდა, რომ ეს პირი ვერ ამართლებდა მოსამართლედ გამწესების მოთხოვნებს. გაწვევის რეგულაციები მოწესრიგებულია კანონით. გარდამავალი რეგულაცია ასევე შეიცავს სპეციალურ დებულებებს პროფესიული კვალიფიკაციის შესახებ. ვინც 1990 წლის 3 ოქტომბრიდან მიიღებს მოსამართლის კვალიფიკაციას, მას ეს კვალიფიკაცია უნარჩუნდება. ვინც ამ კვალიფიკაციის საფუძველზე მოსამართლედ დაინიშნება, შეიძლება უვადოდ დაინიშნოს და ამ კვალიფიკაციით მას უფლება აქვს სხვა ბუნდესლანდშიც იმსახუროს. შესარჩევი კრიტერიუმები სადავო იყო, რას ნიშნავდა მაგ. საქმიანობა უშიშროების სამსახურისათვის, ან ურთიერთთანამშრომლობა, მხოლოდ კონტაქტი იყო ეს, მხოლოდ სატელეფონო თუ სხვა სახის

ურთიერთობის და საქმიანობის ინტენსიურობა. უშიშროებაში საქმიანობისა და უშიშროების ორგანოებთან თანამშრომლობის ნიშნებია: თანამშრომლობის ხანგრძლივობა, სპეციალური დავალებების შესრულება, საქმიანობის ინტენსივობა და ხანგრძლივობა, საიდუმლო თანამშრომლობა, ინფორმატიული თანამშრომლობა.<sup>41</sup>

---

41 <https://www.geschkult.fu-berlin.de/e/tongilbu/publikationen/2015/band42/index.html>  
[https://www.kj.nomos.de/fileadmin/kj/doc/1992/19922Majer\\_S\\_147.pdf](https://www.kj.nomos.de/fileadmin/kj/doc/1992/19922Majer_S_147.pdf)  
<http://archiv.jura.uni-saarland.de/projekte/Bibliothek/text.php?id=348>



## 7. უნგრეთი

უნგრეთში რეფორმები 1988 წლიდან დაიწყო. ძალაუფლების გადასვლა მოხდა 1989 წელს ეროვნული „მრგვალი მაგიდის“ შეხვედრის შემდეგ. მრგვალ მაგიდასთან მოხდა საბჭოთა სისტემის ცვლილების განხილვა. სისტემის ცვლილების განხილვისას, გამოიკვეთა მცირე პოლიტიკური წრეები, იმისათვის რომ მომხადრიყო საჯარო მოხელეების ლუსტრაცია და მათი შეცვლა, ამის საფუძველი კი გახლდათ სისტემის ფსევდო ლიბერალური ხასიათი. ამიტომაც საჯარო მოხელეების მიმართ არა რეპრესიული არამედ, გარკვეული შეგუების, და მორგების პროცესი განხორციელდა. შესაბამისად, სუსტად გამოიკვეთა საჯარო მოთხოვნა – მომხადრიყო პასუხისმგებლობის მქონე პირთა მიმართ ანგარიშსწორება და მათთვის პასუხი მოეთხოვათ წარსულში განხორციელებული უსამართლო ქმედებებისათვის. ეს განსაკუთრებით ვრცელდებოდა სასამართლოზე. სისტემის ნგრევის შემდეგ მთლიანი საჯარო სამსახური და მთლიანად სასამართლო პერსონალი დარჩა დაკავებულ თანამდებობებზე. პირველმა პარლამენტმა, მხოლოდ მისი პირველი ვადის ამოწურვის ბოლოს, 1990 წელს, მიიღო საკმაოდ თავშეკავებული კანონი ლუსტრაციის შესახებ, რომელიც არაერთხელ შეიცვალა, თუმცა სასამართლოს პერსონალი არ შეცვლილა. კანონის პროექტის თანახმად, უნდა მომხადრიყო ყველა იმ პირთა რეგისტრაცია, ვინც მსახურობდა უმაღლეს უშიშროების ოფიცრად. ეს რეესტრი უნდა ქონოდათ პრემიერ მინისტრს, პრეზიდენტს პარლამენტის უშიშროების კომიტეტს. პრეზიდენტს ჰქონდა უფლება გამოექვეყნებინა იმ პირთა სახელები, ვინც, ჯერ კიდევ საჯარო სამსახურში მსახურობდნენ. გამოქვეყნებამდე, სიაში მყოფ პირებს ეცნობებოდათ, რომ ისინი ამ სიაში იყვნენ. მათ ჰქონდათ უფლება დაეტოვებინათ თანამდებობა. ამ შემთხვევაში მათი სახელები არ გამოქვეყნდებოდა, ან უფლება ჰქონდათ -სააპელაციო სასამართლოში გაესაჩივრებინათ. გვარები ქვეყნდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მონაცემების ავთენტურობა დგინდებოდა და პირი უარს ამბობდა თანამდებობის დატოვებაზე. რაიმე ოფიციალური სანქცია ლუსტრაციის კანონით გათვალისწინებული არ ყოფილა. ერთადერთი სანქცია იყო – გასაჯაროების მუქარა. კანონი არ ეხებოდა იმ პირებს, ვინც, მართალია, სიაში იყო მოხსენიებული, მაგრამ თანამდებობა არ ეკავათ. მოსამართლეებიც და პროკურორებიც მიეკუთვნებოდნენ ლუსტრაციის სუბიექტთა წრეს. ლუსტრაციის კანონის მიზანი იყო – ლუსტრირებულთა ტოტალიტარული წარსულის დადგენა. ამას მიეკუთვნება ნაციონალურ-სოციალისტური პარტიის წევრობა, რომელიც 1944 წელს იყო უნგრეთის სათავეში, ძირითადი ან დამატებითი საქმიანობა კომუნისტურ საიდუმლო პოლიციასთან, ან ამ პოლიციაში დასაქმება, ან ამ პოლიციისთვის საიდუმლო ინფორმაციით უზრუნველყოფა, ისევე, როგორც შეიარაღებული წესრიგის დამცველი ძალების წევრობა (Ordnungskräften) 1956/57 წლებში, რომლებმაც 1956 წელს სახალხო აჯანყების ჩაქრობაში მიიღეს მონაწილეობა. უნგრეთის რეგულაციების განსაკუთრებულობა აისახება მის სამართლებრივ შედეგებში: როცა გამოკვლევებით დადგინდება, რომ ლუსტრირებულს განხორციელებული აქვს ერთი რომელიმე დასახელებული დანაშაულის შემადგენლობა, მას ამის შესახებ აცნობებენ. ასეთ პირს, ამის შემდეგ, აქვს უფლება გარკვეულ ვადაში დატოვოს თანამდებობა, ან ითმინოს, რომ ლუსტრაციის ორგანო მის მონაცემებს მისსავე წარსულზე გაასაჯაროებს. თუ პირი გადადგება, მისი წარსული არ გასაჯაროვდება და დაცული იქნება საიდუმლოდ. პროცესის კონფიდენციალურობიდან გამომდინარე, არ არსებობს ზუსტი მონაცემები, თუ რამდენი მოსამართლე ან პროკურორი დაექვემდებარა ლუსტრაციას და რამდენი გადადგა. თუმცა ციფრები შეიძლება მინიმალური იყოს. ამასთან, გასაჯაროების სამართლებრივი შედეგებიც არ არის დაკავშირებული რაიმე უარყოფით შედეგებთან. როგორც პრაქტიკამ აჩვენა სოციალისტი Gyula Horn 1994 წელს მინისტრთა პრეზიდენტად იქნა არჩეული, მიუხედავად იმისა, რომ საჯაროდ იყო ცნობილი: ის როგორც ახალგაზრდა მსახურობდა შეიარაღებულ წესრიგის დამამყარებელ ძალებში.<sup>42</sup>

42 justice asPrevention, vetting Public Employees in Transitional Societies, New York, 2007, P 265

## 7.1. ლუსტრაციის წინაპირობები

ლუსტრაციის კანონით უნდა გადასინჯულიყო შემდეგი :

1. საქმიანობდა თუ არა პირი უშიშროების სამსახურში;
2. ამ პირთა ნათესავების ნომენკლატურის შემოწმება უნდა წარმოებულყო, კერძოდ იმ კომუნისტური ფუნქციონერების, რომლებიც უშუალოდ არ იყვნენ დასაქმებულები უშიშროებაში, მაგრამ მათ ინფორმაციას აწვდიდნენ;
3. უნდა გადასინჯულიყო ხომ არ იყვნენ ეჭვქვეშ მყოფი პირები პარამილიტარული დანაყოფის /ერთეულის წევრები, რაც რევოლუციის დასამარცხებლად შეიქმნა;
4. ხომ არ იყო პირი უნგრეთის ფაშისტური პარტიის წევრი 1945 წლამდე,

საკონსტიტუციო სასამართლომ ეს კანონი არაკონსტიტუციურად ცნო. ლუსტრაციის ნაწილობრივ წარმატებულ სახეს წარმოადგენდა იმ პირთა სახელების გასაჯაროება, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ კომუნისტურ ნომენკლატურას, ან რომლებიც ითვლებოდნენ უშიშროების სამსახურის ოფიცრებად ან თანამშრომლად.

## 7.2. ვეტინგის ორგანოები

1994 წლის XX111 აქტით მნიშვნელოვანი თანამდებობის პირთა გადასინჯად პარლამენტმა შექმნა სკრინინგის ორი კომისია, რომელიც შედგებოდა მოსამართლეებისაგან. მოსამართლეებს ნომინაციას უკეთებდა პარლამენტი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით განსაზღვრული ვადით – როგორც წესი, 2-წლიანი ვადით და ამ ვადის გაგრძელების შესაძლებლობით. 2000 წლისათვის 9 მოსამართლე იყო კომისიაში. ამ მოსამართლეთა შერჩევის წესი არ იყო კანონში განსაზღვრული. სასამართლოს მიერ არ ხდებოდა მათი შერჩევა, მხოლოდ უზენაესი თავმჯდომარის თანხმობა იყო საჭირო. ეროვნული უშიშროების კომიტეტი. გააკონტროლებდა პარლამენტის წევრების, პარლამენტის მიერ დანიშნული თანამდებობის პირების, მინისტრების, სახელმწიფო მდივნების, მოსამართლეების, პროკურორების, ელჩების, სხვა მაღალი რანგის სამოქალაქო თუ სამხედრო ოფიცრების დასახელმწიფო კომპანიების აღმასრულებლების შესაძლო ტოტალიტარულ საქმიანობას. გამოძიების პროცესის მიზანი იყო დაედგინა სკრინინგს დაქვემდებარებულ პირები იყვნენ თუ არა კარიერის ოფიცრები, უშიშროების უმაღლესი ოფიცრები, III/III ქსელის წევრები, ფაშისტური პარტიის წევრები, ან ხომ არ მსახურობდნენ ისინი 1956 წლის რევოლუციის ჩასახშობად შექმნილ პოლიციაში.

## 7.3. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები

კომისიის მიერ წარმოებული გამოძიების საფუძველზე ლუსტრაციის კომისია იღებდა სამი სახის გადაწყვეტილებას:

1. დეკლარატორულ გადაწყვეტილებას, რომ ვეტინგს დაქვემდებარებულმა პირმა განახორციელა ქმედება;
2. გადაწყვეტილებას, რომ მოიძებნა მონაცემები, თუმცა არაა საკმარისი მტკიცებულებები ქმედების დასადგენად;
3. პროცესის შეწყვეტა იმ საფუძველზე, რომ პირმა დატოვა თანამდებობა.

ვისაც შეამოწმებდნენ და მასზე ინფორმაცია არ იქნებოდა, შესაბამის წერილს უგზავნიდნენ. თუ კომისია დაადგენდა რომ სკრინინგის სუბიექტი იყო ტოტალიტარული რეჟიმის თანამშრომელი, მოუწოდებდა ამ პირს – გადამდგარიყო. თუ თანამშრომელი უარს იტყოდა გადადგომაზე, შეეძლო კომისიის გადაწყვეტილება სასამართლოში გაესაჩივრებინა. თუ სასამართლო დაეთანხმებოდა კომისიის გადაწყვეტილებას, გადაწყვეტილება საჯაროდ ქვეყნდებოდა ოფიციალურ

ჟურნალში. გადაწყვეტილებას არ ჰქონდა სავალდებულო ძალა და პირს შეეძლო შეენარჩუნებინა თანამდებობა, თუ შეეძლო გამკლავებოდა საზოგადოებრივი აზრის ზეწოლას. როგორც წესი, მათ ეს შეეძლოთ. კომისიამ იფუნქციონერა 2005 წლამდე

#### 7.4. მოსამართლეთა ვეტინგი

1994 წლის კანონში გათვალისწინებული იყო მოსამართლეთა და პროკურორთა ვეტინგი, მაგრამ ვიდრე ყველა მოსამართლის სკრინინგი მოხდებოდა, მოსამართლეები გამოტოვეს კანონის 1996 წლის მოდიფიცირებულ ტექსტში. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, მათი ვეტინგის პროცესი შეჩერდა. მიუხედავად ამისა, 1996 წლის კანონი ითვალისწინებდა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების, უზენაესის თავმჯდომარისა და მისი ვიცეპრეზიდენტის ვეტინგს. 2000 წლის კანონი კი ითვალისწინებს ყველა მოსამართლის ვეტინგს.

#### 7.5. მოსამართლეთა ვეტინგის პროცესი

##### ვეტინგის სუბიექტები. ვის ეხება ვეტინგი

კანონის თანახმად, ყველას აქვს უფლება მოითხოვს უშიშროების სამსახურის მიერ მასზე მოპოვებული ინფორმაცია, ფაილები და მასალები. ინფორმაციის შეგროვება შემდეგნაირად წარმოებს: 1997 წლიდან მოსამართლეები არ აგროვებენ ინფორმაციას, არამედ მათ ეს მიეწოდებათ შსს-დან, HO არქივიდან ინფორმაციის შეგროვება მას შემდეგ დაიწყო, როცა კომისიამ იმ ინდივიდთა სია წარადგინა, რომელსაც ვეტინგი უნდა შეხებოდათ. ამის შემდეგ შსს და მოგვიანებით` HO არქივს მოეთხოვებოდა რეესტრის გადამოწმება. მათ ევალუბრებოდათ ინფორმაციის კომისიისთვის გადაცემა. შსს-ს მინისტრი ფლობდა დოკუმენტებს და იღებდა გადაწყვეტილებას – გაეგზავნა თუ არა ფაილი კომისიისათვის.

#### 7.6. მოსმენა

კანონის მოდიფიცირებამდე, რომელიც 2000 წელს განხორციელდა, მოსმენა ყველა საქმეზე ხდებოდა, მიუხედავად იმისა არსებობდა თუ არა მასალები. 2000 წლის შემდეგ, მხოლოდ იმ საქმეებზე, სადაც მტკიცებულებები არსებობდა, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს მასალები, ფაილები იმ პირებზე, ვინც საჯარო სამსახურშია რეგისტრირებული, თუმცა საჯარო სამსახური არ იყო ზუსტად განამარტებული. იმ შემთხვევაში, თუ საჯარო სამსახურში მყოფ პირთა მიმართ მწირი ინფორმაციაა არქივში მოძიებული, უშიშროების სამსახურის დირექტორატთან ინდივიდუალური ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია, შესაძლებელია, მაინც გამოქვეყნებულიყო.

პარლამენტმა შექმნა სპეციალიზირებული არქივები, როგორც საჯაროობის კიდევ ერთი გზა, იმ დოკუმენტების შენარჩუნებისა და გამოკვლევისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ ხელმისაწვდომია და რომლებიც ჯერ კიდევ არ არის კლასიფიცირებული. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურების ისტორიულ არქივზე წვდომა აქვთ მეცნიერებს კვლევებისათვის, ასევე, იმ პირებს, რომლებსაც კომუნისტური სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახური უთვალთვალებდა, დოკუმენტების იმ ნაწილზე, რომელიც უშუალოდ მათ ეხებათ. 2003 წლის კანონი ასეთ პირებს უფლებას აძლევს იცოდნენ იმ პირთა სახელები, ვინც უშუალოდ უთვალთვალებდა და გაასაჯაროს ეს მონაცემები.



## 8. ბოსნია ჰერცეგოვინია

### 8.1. ისტორია

1992 წელს იუგოსლავიისაგან ბოსნიისა და ჰერცეგოვინიას განცხადებას დამოუკიდებლობაზე მწვავე კონფლიქტი მოჰყვა, რაც, ძალიან მალე, ომში გადაიზარდა. 1992 წელს ქვეყნა ომის ქარცეცხლში გაეხვია. 1995 წელს დეიტონის სამშვიდობო ხელშეკრულებით დასრულდა deytton peace agreement სასტიკი ომი და დაისახა ბოსნია ჰერცეგოვინიაში მშვიდობის აღდგენის პროგრამა. ბოსნია ჰერცეგოვინიამ და სერბეთმა, საერთაშორისო ზეწოლის შედეგად, ხელი მოაწერეს შეთანხმებას და აიღეს პასუხისმგებლობა ამ შეთანხმების შესრულებაზე პოსტ deytton პერიოდში. საერთაშორისო ორგანიზაციებმა უარი თქვეს ფრთხილ მიდგომებზე და სულ უფრო პირდაპირ ერეოდნენ სამშვიდობო პროცესის განხორციელებაში. ამ ყოველივემ გავლენა იქონია სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების პროცესზე, რაც მოიცავდა საჯარო სამსახურის პერსონალის vetting-ს. პოსტ-deytton პერიოდში სასამართლო არ იყო მიუკერძოებელი და ვერ ახორციელებდა სამართლიან მართლმსაჯულებას. საზოგადოების ნდობა საკმაოდ დაბალი იყო. შიდა ნაციონალურმა ხელისუფლებამ არ განახორციელა რეფორმები, მათ შორის სასამართლო რეფორმა და არ გაათავისუფლა თანამდებობიდან მოსამართლეები. შედეგად, საერთაშორისო აქტორებმა განავითარეს პროაქტიული მიდგომები სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის კუთხით. 1999-დან 2002 წლამდე, გაეროს მისიის მიერ ბოსნიასა და ჰერცეგოვინიაში (UNMIBH) დასკრინულ/შემოწმებულ იქნა სამართალდამცავი ორგანოს ოცდაოთხი ათასი პერსონალი, მათ შორის მოსამართლეები. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, რომელიც შედგებოდა შერეული საერთაშორისო და ადგილობრივი კადრებისაგან, გადანიშნა მოსამართლეები 2002- 2004 წლამდე.<sup>43</sup>

### 8.2. ვეტინგის პროცესი

სამართლიანი მართლმსაჯულების სისტემის შექმნა ურთულესი პროცესი იყო deytton-ის ხელშეკრულების შემდეგ. ქვეყნა გაიყო უამრავ ტერიტორიულ იურისდიქციად. მართლმსაჯულების ინფრასტრუქტურა დაზიანდა მოსამართლეებად დაინიშნა იყვნენ არაკვალიფიციური კადრები, რადგან კვალიფიციურებმა ქვეყანა დატოვეს ან იყვნენ კონფლიქტში მონაწილეობისათვის კომპრომიტირებულნი. ვითარება რთული იყო. პოლიცია, ნაციონალური პოლიტიკოსები, ორგანიზებული კრიმინალები აგრძელებდნენ ზეწოლას მოსამართლეებზე. ნაციონალური პარტია უზრუნველყოფდა საკუთარი მოსამართლეების დანიშვნას. ნაციონალური პოლიტიკოსები ერეოდნენ სასამართლო პროცესებში ინსტრუქციების მიცემით, ქრთამით ან დაშინებით.<sup>44</sup>

UNMIBH-ის სერტიფიცირების პროცესი და HJPC-ის ხელახალი დანიშვნის პროცესი ვეტინგის ორ განსხვავებულ მიდგომას ავითარებს:

1. სერტიფიკაციის/გადასინჯვის პროცესში სამართალდამცავი ორგანოების პერსონალის სკრინინგი/გადასინჯვა წარმოებდა და მათი გათავისუფლება ხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ დააკმაყოფილებდნენ სერტიფიკაციის კრიტერიუმებს
2. გადასინჯვის პროცესში, მეორე მხრივ, სასამართლო ოფისების აღდგენა მოხდა და გამოცხადდა საყოველთაო კონკურსი ყველა არსებულ თანამდებობაზე. მოქმედ მოსამართლეებს შეეძლოთ ხელახლა მიეღოთ მონაწილეობა კონკურსში.

43 justice as Prevention, vetting Public Employees in Transitional Societies, New York, 2007, P. 186

44 justice as Prevention, vetting Public Employees in Transitional Societies, New York, 2007, P 190

მთავარი მიზანი სერტიფიკაციის პროცესში იყო – თანამდებობიდან წასულიყვნენ შეუსაბამო პირები და შეერჩიათ კვალიფიციური პირები. გადანიშნვის პროცესის მიზანი იყო ოფისისათვის შეერჩიათ კვალიფიციური კანდიდატები

UNMIBH სერტიფიკაციის პროცესი და HJPC გადანიშნვის პროცესი, ორივე ვეტინგის განზომილებაა. ორივე პროცესის ძირითადი საფუძველი იყო პერსონალის ყოვლისმომცველი რეფორმა – სამართლიანი და ეფექტიანი ინსტიტუტების შესაქმნელად და არა წარსულ ქმედებებისათვის ინდვიდუალური პასუხისმგებლობის დაწესება.<sup>45</sup>

---

45 justice asPrevention, vetting Public Employees in Transitional Societies, New York, 2007, P 195

## 9. უკრაინა

2014 წლის აპრილში მიღებული კანონი „უკრაინაში სასამართლო ხელისუფლების მიმართ ნდობის აღდგენის შესახებ“ (N1188-VII) აკვირდება საერთო სასამართლოების მოსამათლებლებს და სჯის მათ, რომელთაც ბრალი მიუძღვის ევრომაიდანის პროტესტის მონაწილეთა უსამართლო დევნაში<sup>46</sup>. აღნიშნულმა კანონმა ორი მძლავრი შემოწმების ინსტრუმენტი შექმნა:

პირველი, სასამართლოთა ყველა თავმჯდომარე და მოადგილე, გარდა უკრაინის უზენაესი სასამართლოს პრეზიდენტისა, უნდა გადამდგარიყვნენ თავიანთი ადმინისტრაციული თანამდებობებიდან – კანონის ამოქმედების მომენტიდან – 2014 წლის 11 აპრილიდან. აღნიშნული კანონით გათვალისწინებული წესის მიხედვით, მოსამართლეთა გაერთიანებებმა წამოიწყეს სასამართლოების ახალი თავმჯდომარეების არჩევნები როტაციის პრინციპით. შედეგად, ყველა სასამართლომ აირჩია თავისი თავმჯდომარე და მოადგილე<sup>47</sup>.

მეორე, აღნიშნულმა კანონმა განსაზღვრა დისციპლინური პასუხისმგებლობა იმ მოსამართლეების, რომლებმაც, დადგინდა, რომ აკრძალეს ევრომაიდნის აქციები, ან მონაწილეობდნენ ადამიანის უფლებათა სხვა დარღვევებში. საერთო სასამართლოთა მოსამართლეების შემოწმების (vetting) **სპეციალური დროებითი** კომისია განისაზღვრა სამოსამართლო დანაშაულთა გამოსაძიებლად<sup>48</sup>. 15 წევრიან ომისიაში იყვნენ სამოქალაქო საზოგადოების წევრები, უკრაინის პარლამენტის წევრები და მთავრობის წარმომადგენლები ანტიკორუფციულ ღონისძიებათა საკითხების მიმართულებით. კომისიას აკლდა წევრები და კვორუმის პრობლემა მუდმივად არსებობდა. კანონი მოქალაქეებს უფლებას აძლევდა – შეეტანათ პეტიცია მოსამართლეების წინააღმდეგ, თავიანთი უფლებების დარღვევის საფუძველით, ევრომაიდნის პროტესტის დროს<sup>49</sup>.

კომისიამ ჩაატარა საჯარო მოსმენები, სამოსამართლო დანაშაულებების დასადგენად. პროცედურა დისციპლინური მოკვლევის მსგავსად წარიმართა. თავდაპირველად, კომისია მოიაზრებოდა 1-წლიანი უფლებამოსილებით. მის გადაწყვეტილებას არ ჰქონია საბოლოო იურიდიული ძალა, რამდენადაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან მისი გადაწყვეტილების დამოწმება იყო სავალდებულო<sup>50</sup>. მიუხედავად კანონით ამოქმედებული ნდობის აღდგენის მექანიზმებისა, სასამართლო ლუსტრაციას მაინც სიმბოლური ხასიათი აღმოაჩნდა<sup>51</sup>.

### 9.1. ლუსტრაციის კანონი

2014 წლის ოქტომბერში „მთავრობის გაჯანსაღების“ კანონი (იგივე ლუსტრაციის კანონი) მიიღეს (N1682-VII), რომელიც, ძირითადად, მთავრობისა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისკენ იყო მიმართული, თუმცა, ზოგიერთი დებულება პირდაპირ მაინც შეეხებოდა მოსამართლეებსაც.

პირველ რიგში, ყველა მოსამართლეს უნდა დაემტკიცებინა, რომ ყნებისმიერ უძრავი და მოძრავი ქონება, საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხები მიღებული ჰქონდათ კანონიერად. შედეგები განთავსდა იუსტიციის სამინისტროს ერთიან ვებგვერდზე, რამაც ხელი შეუწყო სახელმწიფოს ფისკალური უწყების წარმომადგენლებს განეხორციელებინათ მოსამართლეთა ქონების მო-

46 O. Ovcharenko; T. Podorozhna, Judge Lustration in Ukraine: National Insights and European Implications, (2020) 4(8), Access to Justice in Eastern Europe 226-245

47 Id.

48 Id.

49 Id.

50 Id.

51 Id.

ნიტორინგი. გარდა ამისა, სასამართლო ადმინისტრაციას უნდა გამოქვეყნებინა ევრომაიდანის პროტესტის ყველა მონაწილის მიმართ გამოტანილი მსჯარვდებები. უფრო მეტიც, სასამართლო ხელისუფლების გარკვეული წარმომადგენლები დაუყოვნებლივ გათავისუფლდნენ, როდესაც აღნიშნული კანონი სამთავრობო წმენდის შესახებ ამოქმედდა. ხუთიდან ათ წლამდე სახელმწიფო თანამდებობის დაკავების აკრძალვის უფლებაც იქნა გამოყენებული სანქციის სახით. გარდა ამისა, უკრაინის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ამოწმებდა მოსამართლეებისა და სხვა სახელმწიფო მოხელეთა კავშირებს საბჭოთა სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტთან – “კაგებე” (KGB) ან მათი კომუნისტური პარტიის წევრობას ყოფილ საბჭოთა კავშირში<sup>52</sup>.

2014 წლის ოქტომბერში იუსტიციის სამინისტრომ გამოსცა ბრძანება (N.1704) და შექმნა ერთიანი ელექტრონული რეესტრი იმ მოხელეების სიით, რომლებსაც შეეხებოდა ზემოაღნიშნული კანონი. ბაზაში შეყვანილ იქნა ინფორმაცია იმ პირების შესახებ, რომლებიც გათავისუფლდნენ თანამდებობებიდან და რომელთა რიცხვი იყო დახლოებით 200<sup>53</sup>.

მოსამართლეებმა, რომლებმაც ვერ გაიარეს წარმატებული მონიტორინგი, გათავისუფლდნენ თანამდებობიდან. 8500 მოსამართლიდან მხოლოდ 42-მა ვერ დააკმაყოფილა შემოწმების (vetting) დადგენილი კრიტერიუმები. პროცედურა არ იყო წარმატებული, რამდენადაც ფარული კავშირები „კაგებესთან“ ვერ გამოვლინდა ხანგრძლივი დროის გასვლის გამო. ერთადერთი შედეგი, რაც „სამთავრობო გაჯანსაღების“ კანონმა გამოიღო, სასამართლო სისტემის სრული პარალიზება იყო. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ კანონისა და მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კომისიის კანონის თანახმად, მათი ყველა წევრი ავტომატურად იქნა დათხოვნილი 2014 წლის ნოემბრიდან. აღნიშნული დემონტრაციული საჯარო მორატორიუმიდან თითქმის 1 წლის განმავლობაში, უკრაინის სასამართლო სისტემას არ ჰქონდა საკმარისი ინსტრუმენტები ახალი მოსამართლეების ასარჩევად, არსებული მოსამართლეების შესაფასებლად და საქნციების დასაკისრებლად<sup>54</sup>.

## 9.2. ლუსტრაციასთან დაკავშირებული გამოწვევები

2014 წლის ოქტომბრის მიმართვის საფუძველზე ვენეციის კომისიამ შეაფასა “სამთავრობო გაჯანსაღების შესახებ” კანონი. ხარვეზები, კომისიის დასკვნის თანახმად, გამოიხატა შემდეგში: ლუსტრაცია უნდა შეეხებოდეს მხოლოდ იმ თანამდებობებს, რომლებიც ქვეყნის უმაღლესი საფრთხეს ადამიანის უფლებებს ან დემოკრაციას; ბრალეულობა უნდა იყოს ინდივიდუალური და არ ემყარებოდეს მხოლოდ და მხოლოდ დაკავებული თანამდებობის კატეგორიას; ლუსტრაციის უფლებამოსილება უნდა ჩამოცილდეს იუსტიციის სამინისტროს და გადაეცეს სპეციალურად შექმნილ დამოუკიდებელ კომისიას, არასამთავრობო სექტორის ჩართულობის უზრუნველყოფით; ლუსტრაციის პროცესმა უნდა უზრუნველყოს სამართლიანი განხილვა; ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მოქმედება უნდა შეჩერდეს სასამართლო პროცესის დასრულებამდე; მოსამართლეთა ლუსტრაცია უნდა რეგულირდებოდეს ერთი საკანონმდებლო აქტით და არა დუბლირებული შინაარსის მქონე საკანონმდებლო აქტებით; მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭო უნდა იყოს უფლებამოსილი მოსამართლეთა გათავისუფლებაზე; ინფორმაცია საჯარო უნდა გახდეს მხოლოდ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების შემდეგ<sup>55</sup>.

52 Id.

53 Interim Opinion, Venice Commission, CDL-AD(2014)044, para 6.

54 Id.

55 Id.

## 10. ვეტინგი და ლუსტრაცია საქართველოში

საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ საქართველოს პირველი პრეზიდენტის მმართველობის პერიოდში ვერ მოხერხდა სასამართლო რეფორმების განხორციელება და სამხედრო ფორმირებებმა ხელისუფლებაში მოიყვანეს პრეზიდენტად შევარდნაძე, თუმცა ქვეყანაში ამ პერიოდისათვის, თითქმის ყველა სფეროში კორუფცია და ნეპოტიზმი იყო გაბატონებული. ამ დროისათვის იყო მცდელობა გატარებულიყო სასამართლო რეფორმები. 1997 წლის 13 ივნისის კანონით საერთო სასამართლოების შესახებ ძალადაკარგულად იქნა მიჩნეული მანამდე მოქმედი კანონები, მათ შორის კანონი საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ. ახალი კანონით განხორციელდა როგორც სასამართლო წყობის, ასევე საკადრო ცვლილებები. საქართველოში ვეტინგის პროცედურა საკადრო ცვლილებებთან გამოიხატა მოსამართლეთა ატესტაციაში. მოსამართლეები, რომლებიც თანამდებობაზე დანიშნულ (არჩეულ) იქნენ ამ კანონის ძალაში შესვლამდე მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ექვემდებარებიან სავალდებულო საკვალიფიკაციო ატესტაციას. მათ უნდა ჩააბარონ საკვალიფიკაციო გამოცდა, გამოცდის ჩაუბარებლობა მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველია.<sup>56</sup>

აღნიშნული რეფორმა დასრულდა უშედეგოდ, ვინაიდან ვერ მოხდა კორუფციისა და ნეპოტიზმის აღმოფხვრა სასამართლო სისტემაში.<sup>57</sup> ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ, 2005 წელს, დაიწყო სასამართლო რეფორმის ახალი ეტაპი, რასაც შედეგად მოჰყვა, როგორც სასამართლო წყობილების, ასევე მოსამართლეთა საკადრო ცვლილება; კერძოდ, განხორციელდა მოქმედი სასამართლოების ლიკვიდაცია, ასევე რეორგანიზაცია, მოსამართლეთა თანამდებობების შემცირება, რის საფუძველზეც, მოქმედ მოსამართლეთა დიდი ნაწილი ჩაირიცხა რეზერვში უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე.<sup>58</sup> საკანონმდებლო პროცესთან ერთად, რეალური მოვლენები შემდგენიარად განვითარდა: ახალმა ხელისუფლებამ განიზრახა სასამართლო ხელისუფლების საკუთარ ხელში მოქცევა, კერძოდ მოსამართლეებზე ზეგავლენა, დამოუკიდებელ მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლება და ახალი ხელისუფლებისადმი ლოიალური სასამართლო კორპუსის ჩამოყალიბება. მოსამართლეთა საკადრო ცვლილება, აღნიშნულის გარდა, უზენაეს სასამართლოში შემდეგი ფორმით წარიმართა – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე გარკვეული გარანტიების სანაცვლოდ, მოსამართლეებს სთავაზობდა – დაეწერათ გადადგომის განცხადება, წინააღმდეგ შემთხვევაში ის მათ ემუქრებოდა დისციპლინური სამართალწარმოების გზით თანამდებობიდან გათავისუფლებით. ბევრმა მოსამართლემ იძულების წესით დაწერა განცხადება, ოთხი მოსამართლე, რომელმაც უარი განაცხადა ნებაყოფლობით გათავისუფლებაზე, დისციპლინური წესით გაათავისუფლეს თანამდებობიდან.<sup>59</sup>

56 საერთო სასამართლოების შესახებ კანონი 1997 წლის 13.06 რედაქციით, 86(1) მუხლის შესაბამისად, პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო ატესტაცია მოიცავს მოსამართლის ცოდნის შემოწმებას საკვალიფიკაციო გამოცდის მეშვეობით. საკვალიფიკაციო ატესტაციის დადგენილ ვადაში გაუვლელობა არის მოსამართლის თანამდებობიდან ვადამდე განთავისუფლების საფუძველი. საკვალიფიკაციო ატესტაციის გაუვლელობის შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის საბჭო საქართველოს პრეზიდენტს მიმართავს წარდგინებით მოსამართლის თანამდებობიდან ვადამდე განთავისუფლების შესახებ.

57 file:///Users/macbookair/Downloads/152-Article%20Text-281-1-10-20200803.pdf. Transitional justice Lustration and Vetting in Ukraine and Georgia

58 საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 54 (1); 88(3) მუხლი, 1997 წლის 13 ივნისის რედაქციით. აღნიშნული მუხლების შესაბამისად განხორციელდა საოლქო და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების ლიკვიდაცია, ასევე სააპელაციო სასამართლოების სისტემის ინსტიტუციური რეორგანიზაცია, მასთან დაკავშირებული სამართლებრივი, საკადრო, ორგანიზაციული ცვლილებები.

59 საერთაშორისო გამჭვირვალობა. კორუფციის რისკი სასამართლო სისტემაში, თბილისი 2018, გვ 18,



## შედეგების შეფასება.

აღმოსავლეთ ევროპის, მათ შორის, პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში წარსულის დაძლევის გზების მსგავსი და განსხვავებული მიდგომები.

აღმოსავლეთ ევროპის, მათ შორის პოსტ-საბჭოთა ქვეყნების დემოკრატიაზე გადასვლის გარდამავალ პერიოდს თან ახლავს და მის მამოძრავებელ გულს წარმოადგენს ვეტინგის (Vetting) და ლუსტრაციის (Lustration) პროცესი.

ვეტინგის ორი ძირითადი ტიპი არსებობს: გადასინჯვა და ხელახალი დანიშვნა<sup>60</sup>

### ვეტინგი გამოიყენეს შემდეგმა სახელმწიფოებმა:

**ალბანეთი** – ალბანეთში შეიქმნა ვეტინგის კომისიები იმ მიზნით, რომ მოსამართლეთა და პროკურორთა გადასინჯვა მომხდარიყო მათი პროფესიული, ქონებრივი მდგომარეობის, ორგანიზებულ დანაშაულთან სავარაუდო კავშირის კუთხით, რაზეც დაწესდა საერთაშორისო მონიტორინგი (International Monitoring Operation), რომლის შემადგენლობაშიც არიან ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნიდან შერჩეული მოსამართლეები და პროკურორები.

**გერმანია** – გერმანიის გაერთიანების შემდეგ, სასამართლოები არ გაუქმებულა და არც მოსამართლეები გაუთავისუფლებიათ თანამდებობიდან. თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლებია – პერსონალური გამოსადეგობის ნაკლებობა (mangelnde persönliche Eignung) ან/და საქმიანობა ყოფილ უშიშროების სამსახურთან. ახალ ცხრა ფედერალურ მიწაზე შეიქმნა მოსამართლეთა საარჩევნო კომიტეტები, რომლებიც დაკომპლექტდნენ მიწის პარლამენტის ექვსი წევრისა და მოსამართლეთა მიერ არჩეული ოთხი მოსამართლისგან. ისინი იხილავდნენ ყველა მოქმედი მოსამართლის საკითხს, მათივე განაცხადის საფუძველზე (GDR-RiG) კომიტეტის თანხმობის შემთხვევაში, იუსტიციის მინისტრს შეეძლო მოქმედი მოსამართლე დაენიშნა ხელახლა მოსამართლედ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ან გამოსაცდელი ვადით, მაგრამ არა როგორც უვადო მოსამართლე.

**ბოსნია ჰერცეგოვინია** – ვეტინგის ორ განსხვავებულ მიდგომას ანვითარებს: ა. სერტიფიკაციის/გადასინჯვის პროცესი, სამართალდამცავი ორგანოების პერსონალის სკრინინგი/გადასინჯვა წარმოებდა და მათი გათავისუფლება ხდებოდა თუ ისინი ვერ დააკმაყოფილებდნენ სერტიფიკაციის კრიტერიუმებს; ბ. საყოველთაო კონკურსი არსებულ მოსამართლის თანამდებობაზე. მოქმედ მოსამართლეებს შეეძლოთ ხელახლა მიეღოთ მონაწილეობა კონკურსში.

**საქართველო** – ვეტინგი განხორციელდა სასამართლო რეფორმებით; 1997 და 2005 წელს. მოსამართლეთა საკადრო პოლიტიკა განხორციელდა: ა. საკვალიფიკაციო გამოცდების, ბ. მოქმედი სასამართლოების ლიკვიდაციის, ასევე რეორგანიზაციის, მოსამართლეთა თანამდებობების შემცირების, გზით. მოქმედ მოსამართლეთა დიდ ნაწილი ჩაირიცხა რეზერვში უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე. გ. დისციპლინური სამართალწარმოების გზით, დ. სასამართლოს თავმჯდომარის მიერ, უშუალოდ კონკრეტულ მოსამართლეთა იძულების გზით – დაეწერათ თანამდებობიდან გათავისუფლების განცხადება, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ დაიწყებოდა სისხლის ან დისციპლინური სამართალწარმოება.

### ლუსტრაცია გამოიყენეს შემდეგმა სახელმწიფოებმა

**პოლონეთმა** გამოიყენა ლუსტრაციის პროცედურები. ლუსტრაცია მოიცავდა საჯარო სამსახურში თანამდებობაზე მყოფ ან ასეთ თანამდებობაზე გამწესების მსურველ პირთა (კანდიდატე-

[https://www.transparency.ge/sites/default/files/corruption\\_risks-geo.pdf](https://www.transparency.ge/sites/default/files/corruption_risks-geo.pdf)

60 justice as Prevention, vetting Public Employees in Transitional Societies, New York, 2007, P 487

ბის) გადასიჯვის პროცესს, ხომ არ ჰქონდათ მათ კავშირი საბჭოთა პერიოდში უშიშროების სამსახურთან. დასჯადი იყო მხოლოდ სიცრუე ანუ არასწორი ინფორმაციის მიწოდება უშიშროების სამსახურებთან თანამშრომლობაზე. თვით თანამშრომლობა უშიშროების სამსახურებთან არ იყო დასჯადი. ასეთ პირებს შეეძლოთ კვლავ მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში, კანდიდატები ყოფილიყვნენ საჯარო სამსახურში თანამდებობის დასაკვებლად. მათ მომავალზე გადაწყვეტილების მიღება მინდობილი ჰქონდა ამომრჩეველს. ლუსტრაცია მოიცავდა ტყუილის თაობაზე საქმის წარმოების დაწყებას. ლუსტრაციის განმახორციელებელ ორგანოებს წარმოადგენდა საჯარო ინტერესის კომისარის ოფისი და ლუსტრაციის სასამართლო.

**ჩხეტი** – ჩხეთის ლუსტრაციის მოდელი ეკუთვნის ე. წ. Exclusive personal System of lustration-ს. ლუსტრაციის ექსკლუზიური სისტემა ხელს უშლის იმ პირებს, რომლებიც წარსულ რეჟიმთან ასოცირდებიან დაიკავონ გარკვეული პოზიციები საჯარო სამსახურში ახალი რეჟიმის დროს. ჩხეთის და სლოვაკეთის ნებისმიერ მოქალაქეს, ვისაც სურვილი გააჩნდა – დაეკავებინა ასეთი თანამდებობა, უფლება ჰქონდა მსს დან საფასურის სანაცლოდ მიეღო ე.წ. ლუსტრაციის სერტიფიკატი. ლუსტრაციის სერტიფიკატი უთითებდა – იყო თუ არა პირი სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ოფიცერი ან თანამშრომელი კომუნისტური პერიოდში. პოზიტიური ლუსტრაციის სერტიფიკატი, სადაც მითითებული იყო, რომ ეს პირი იყო ოფიცერი, ან თანამშრომელი. ასეთ პირებს ეკრძალებათ თანამდებობის დაკავება. ლუსტრაციის კანონი არავის სჯიდა, არც სასჯელს და ჯარიმას აკისრებდა.

**უნგრეთი** – ლუსტრაციის კანონით უნდა გადასინჯულიყო პირი უშიშროების სამსახურში საქმიანობდა თუ არა; ასევე ამ პირთა ნათესავების ნომენკლატურის შემოწმება უნდა წარმოებულყო, კერძოდ იმ კომუნისტური ფუნქციონერების, რომლებიც უშუალოდ დასაქმებულები არ იყვნენ უშიშროებაში, მაგრამ ისინი ამ სამსახურებს ინფორმაციას აწვდიდნენ; უნდა გადასინჯულიყო ეჭვქვეშ მყოფი პირები ხომ არ იყვნენ, პარამილიტარული დანაყოფის/ერთეულის წევრები, რაც რევოლუციის დასამარცხებლად შეიქმნა და ხომ არ იყვნენ რომელიმე პირი უნგრეთის ფაშისტური პარტიის წევრები 1945 წლამდე.

**უკრაინა** – „მთავრობის გაჯანსაღების“ კანონის შესაბამისად, მტკიცების ტვირთი ეკისრებოდათ მოსამართლეებს, რომელთაც უნდა დაედასტურებინათ მათი ყველა უძრავი და მოძრავი ქონების, საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხის კანონიერი წარმომავლობა. გარდა ამისა, სასამართლო ადმინისტრაციას უნდა გამოქვეყნებინა ევრომაიდანის პროტესტის ყველა მონაწილის მიმართ გამოტანილი მსჯავრდებები.

უკრაინის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ამოწმებდა მოსამართლეების და სხვა სახელმწიფო მოხელეთა კავშირებს საბჭოთა სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტთან – “კაგებე” (KGB) ან მათი კომუნისტური პარტიის წევრობას ყოფილ საბჭოთა კავშირში. იუსტიციის სამინისტრომ გამოსცა ბრძანება (N.1704) და შექმნა ერთიანი ელექტრონული რეესტრი იმ მოხელეების სიით, რომლებსაც შეეხებოდა ზემოაღნიშნული კანონი

### **ლუსტრაცია და ვეტინგი არ განხორციელდა რუმინეთში**

რუმინეთში იუსტიციის სფეროში არ განხორციელდა ლუსტრაცია. ეს ნიშნავდა იმას, რომ სოციალისტური წარსულის დასაძლევად არ მომხდარა პერსონალური ცვლილებები. 1992 წლის საერთო სასამართლოების კანონით, განმტკიცდა სასამართლოს დამოუკიდებლობა ისე, რომ არ მომხდარა მორალურად და პროფესიულად შეუსაბამო პერსონების ჩამოცილება. რუმინეთმა მოსამართლეთა უფლებებთან მიმართებაში სამართლებრივი პოლიტიკის მთავარი ღერძი მომავალი თაობის გაუმჯობესებულ განათლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე გაავლო.

### **ვეტინგის და ლუსტრაციის პროცესის ეფექტურობა და წარუმატებლობა ცალკეულ ქვეყნებში**

**ალბანეთი.** მიუხედავად ვეტინგის განხორციელების პროცესში წარმოშობილი არაერთი პრობლემური საკითხისა (პრობლემები რაც წარმოიშვა ვეტინგის განმახორციელებელ ორგანოთა



დაკომპლექტებისა და ფუნქციონირების პროცესში, რომ ალბანეთში გარკვეული პერიოდი მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლებით, სასამართლო ქმედუხუნარო განადა) საბოლოოდ ითვლება, რომ ვეტინგმა ალბანეთში თავისი მიზანი შეასრულა მოსამართლეთა გადასინჯვისა და ხელახალი დანიშვნის თვალსაზრისით.

თანამდებობები დატოვეს მოქმედმა მოსამართლეებმა, რომელთაც ვერ შეძლეს დაესაბუთებინათ ასიათასობით ევროს ღირებულების ქონების წარმომავლობა.

**გერმანია.** ალბანეთისა და ბოსნია ჰერცეგოვინასგან განსხვავებით. მართალია, გერმანიამ ვეტინგი სამართლებრივად არ მოიაზრებოდა, როგორც პასუხი წარსულის არასწორ ქმედებებზე და გდრ-ის მოქმედ მოსამართლეთა დიდმა ნაწილმა თანამდებობები შეინარჩუნა, მაგრამ, მიუხედავად ასეთი მიდგომისა, 1989/1990 წლის ბოლოს ცალკეულ ოდიოზურ პიროვნებებზე ცნობილმა მოსამართლეებმა დატოვეს თანამდებობა და ვეტინგის პროცესი მაინც განხორციელდა მოსამართლეთა პერსონალური და პროფესიული გამოსადეგობის (persoenliche Eignung) გადასინჯვის გზით, სპეციალურად შექმნილი მოსამართლეთა შემრჩევი კომისიის მიერ.

**პოლონეთი.** მიუხედავად იმისა, რომ მუდმივი დისკუსიები არსებობს თემაზე – ლუსტრაციის კანონის მიზანი სრულად შესრულდა თუ არა, პოლონეთში ლუსტრაციის კანონი უმნიშვნელოვანეს მიღწევად ითვლება. მიუხედავად განხორციელების ხელის შემშლელი ფაქტორებისა, რაც კანონის სრულად განხორციელებას აფერხებდა, მაგ. როგორც იყო ლუსტრაციის ვადები (რამეთუ კანონი საკმაოდ გვიან შევიდა ძალაში, რის საფუძველსაც პოლიტიკური ბრძოლა წარმოადგენდა. ამან კი კანონის ხშირი ცვლილება გამოიწვია, რაც აზაინებდა მისი მიზნების განხორციელებას) ლუსტრაციის პროცესს მოჰყვა მნიშვნელოვანი შედეგები დეკომუნიზაციის პროცესში

**ჩეხეთის რესპუბლიკა.** ჩეხეთში ლუსტრაციის კანონმა ფილტრის როლი შეასრულა ახალი დემოკრატიული ინსტიტუტებისაგან ყოფილი მტრების გამოსაცალკავებლად და ხელი შეუწყო ჩეხეთის პოსტ-კომუნისტური საზოგადოების სტაბილიზაციას ტრანსფორმაციის ადრეულ ეტაპზე.

კომუნისტური რეჟიმის მოსამართლეთა საქმიანობის გაშუქების საფუძველზე 1.460 მოსამართლიდან თანამდებობა დატოვა 484 მოსამართლემ. ლუსტრაცია წარმოადგენდა დეკომუნიზაციის პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ნაწილს, რომელიც მიზნად ისახავს პოსტ-კომუნისტური პოლიტიკისა და კანონიერი ტრანსფორმაციის პერსონალურ ასპექტს. ის ეფუძნება იდეას, რომ – ცალკეულ პირებს არ შეიძლება გამოუცხადო ნდობა კომუნისტური რეჟიმის დროს თანამდებობებზე ყოფნის გამო და რომ – მათ არ შეიძლება ჰქონდეთ წვდომა ახალი დემოკრატიული რეჟიმის დროს ცალკეულ საჯარო თანამდებობებზე.

**უნგრეთი** – უნგრეთშიც გარკვეულ წილად ლუსტრაცია პოლიტიკურ იარაღად იქცა და მიმართული იყო პოლიტიკური ოპონენტებისათვის ზიანის მისაყენებლად. სასამართლო სფეროს ლუსტრაცია შეეხო. ლუსტრაციის პროცესის კონფიდენციალურობიდან გამომდინარე, არ არსებობს ზუსტი მონაცემები, თუ რამდენი მოსამართლე ან პროკურორი დაექვემდებარა ლუსტრაციას და რამდენი გადადგა.

**ბოსნია-ჰერცეგოვინია** ბოსნია ჰერცეგოვინიაში ლუსტრაცია არა მხოლოდ აუცილებელი, არამედ ყველაზე სამართლიანი პროცესი იყო სასამართლო სისტემის საჭირო რესტრუქტურირების განსახორციელებლად, ვეტინგის პროცესის შედეგად, სასამართლოსადმი ნდობა გაიზარდა 60-დან და 74-პროცენტამდე.

**უკრაინა** – უკრაინაში მოსამართლეები, რომლებმაც ვერ გაიარეს წარმატებული მონიტორინგი, გათავისუფლდნენ თანამდებობიდან. 8500 მოსამართლიდან მხოლოდ 42-მა ვერ დააკმაყოფილა შემოწმების (vetting) პროცედურით დადგენილი კრიტერიუმები. პროცედურა არ იყო წარმატებულად შეფასებული, რამდენადაც ფარული კავშირები “კაგებესთან” ვერ გამოვლინდა, ხანგრძლივი დროის გასვლის გამო.